პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 102 (19544) ◆ პარასკევი, 2 მაისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საბჭოთა ადამიანებმა ზეიმით და სიხარულით აღნიშნეს 1 მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. მშვიდობისა და შრომის დღესასწაული ახალი ძალით ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, საბჭოთა ადამიანების შეკავშირება სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მათი ურყევი გადაწყვეტილება დამკვრელური შრომით განამტკიცონ სამშობლოს ძლიერება.

წითელი მოედანი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნა.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

პირველი მაისი: დაჩქარების გაზაფხული

დემონსტრაცია მოსკოვის წითელ მოედანზე

გზაში, მკვეთრ მოსახვევში წამოგვეწია წლევანდელი პირველი მაისი. დღეს მისი ფერები თვალსაც ახარებს ვარდობისთვის სიხასხასით და ამასთანავე ხელშესახებიც, დინამიკურიც არის. მაისობამ მიიღო ესტაფეტა სკკპ XXVII ყრილობისაგან, რომლის ტრიბუნიდან პარტიამ გვაუწყა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის პროგრამა. საჯაროდ განცხადდა, რომ გადაწყვეტილი აქვს რაც შეიძლება მალე დაძლიოს ნეგატიური მოვლენები საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, მიანიჭოს მას დინამიზმი და აჩქარება. მეთორმეტე ხუთწლედის პირველი გაზაფხულის ყოველი დღე — ეს არის წვლილი ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში და, მაშასადამე, სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების, მშვიდობის შენარჩუნების, ყოველი ჩვენგანის ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

რაც უფრო ძნელი და მასშტაბურია ამოცანები, რომლებსაც პარტია აყენებს საბჭოთაის წინაშე, მით უფრო ფაქიზლებელია მასების აქტიური მონაწილეობა ჯიზნის მიღწევაში. ხალხის შემოქმედება — ეს არის სოციალიზმის არსი, მისი წარმოშობის, განმტკიცების, ყოველმხრივი სრულყოფის ძირეული ფაქტორი. ლენინის ამ სიტყვებში, რომელიც სოციალიზმის შენებლობის მთელი გამოცდილებით არის განმტკიცებული, გამოსჭივის წლევანდელი გაზაფხულის ერთ-ერთი მთავარი მოტივი.

... პირველ მაისს დილით მოსკოვმა ისევე ადრიანად გაიღვიძა, როგორც ჩვეულებრივ სამუშაო დღეს, ოღონდ სამუშაო სპეცტანსაცმლის ნაცვლად საგარეო კოსტიუმში. „გამოვწყო და გულისპირი ალისფერი ბაბთით დაიმშვენა. მთელი ქალაქის საპირველმაისო ბაბთა გახდა ოსტანკინოს ტელეკოშკზე მოფრიალე წითელი დროშა. კიდევ უფრო მაღლა, ზუსტად ათასჯერ უფრო მაღლა, უკვე არა მარტო ჩვენი დედაქალაქის, არამედ მთელი პლანეტის თავზე მოსკოვის დროით დილის ექვს საათზე გაჩინარდნენ ორბიტული სახლის სარკმელი. „მირ“ სადგურის ეკიპაჟმა დედამიწის ყველა მცხოვრებს მოულოცა შრომისა და მსოფლიოს საერთაშორისო დღესასწაული.

იმ ცხრა საათში, სანამ პირველი მაისი მთელ ჩვენს სამშობლოს დაუვლიდა კამჩატკიდან მოსკოვამდე, ლენინდ კიზიმმა და ვლადიმერ სოლოვიოვმა დედამიწას ექვსჯერ შემოუფრინეს. „რაც შეიძლება მეტი გადმოგვეცით მარშები, — სთხოვეს მათ ფრენის მართვის ცენტრში მყოფ ამხანაგებს. — სასულე ორკესტრის ხმაზე უკეთ ვმუშაობთ. მართალია, დღეს უქმე გვაქვს, მაგრამ „პროგრეს-26“ მისადგომთან არის. გულზედაკრეფილი ხომ არ ვისხდებით“.

დღეს მაისობას ზუსტად ასი წელი შეუსრულდა. 1886 წლის 1 მაისს ამერიკელი მუშები წითელი დროშებით გამოვიდნენ ჩიკაგოს ქუჩებში თავიანთი ფულების დასაცავად. ბრძოლით მოპოვებული, დაღვრილი სისხლის ფასად დამკვიდრებული ეს ზეიმი დღეს ეკუთვნის ყველას, ვინც თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობას იცავს. სწორედ ამიტომ არის, რომ დედამიწის მილიონობით მცხოვრების მზერა ამ დღეს მიპყრობილია ქვეყნისადმი, რომლის დროშაზე წარწერილია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ სწორედ ამიტომ არის, რომ სამაისო დროშების ზღვაში ვხედავთ იმ პირველ მუშურ მაისობათა კოცონების ათინთს, რომელთა ნაპერწკლებმაც მილიონობით გული აღანთეს მუშათა საქმისათვის ბრძოლის წყურვილით, ხოლო შემდეგ დიდი ოქტომბრის ალით აგიზგიზდნენ.

პირველი მაისის ნაირფერი ზღვა მალე გადმოჩქეფს წითელ მოედანზე. მისი პირველი ტალღა ალისფერია — ბაირახტართა კოლონა უკვე მწკრივდება ქვაფენილზე. საუკეთესოთაგან საუკეთესოებს მიანდეს ამ დღეს გამოტანათ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დროშები, სამახსოვრო ვიმპელები, საწარმოების, უმაღლესი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, სკოლების ალმები.

მოედანი ტრადიციულად, პროლეტარული დღესასწაულის სიმბოლიკის შესატყვისად არის მორთული. თითქოს ისტორიის კალეიდრის ფურცელიაო, ისე ხასხასებს ალისფრად პანო, რომელზეც გამოსახულია სადღესასწაულო თარიღი — 1 მაისი. აფრიალდა სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი, რომელსაც მხარს უმშვენებენ 15 მოკავშირე რესპუბლიკის დროშები. კრემლის გალავანს მათი გერბები ამშვენებს.

მოედნის ყველა კუთხიდან მოჩანს პროლეტარიატის ბელადების კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის პორტრეტები. მათ არშიად შემოვლებია დიდის მთავარი ლოზუნგები, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ხალხის ერთგულებას მეცნიერული კომუნიზმის მიძღვრებისადმი. „სკკპ XXVII ყრილობის ლენინური კურსით — წინ, კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით!“, „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა!“, „სოციალურ სფეროს — დაჩქარებული განვითარება!“, „ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების გამტკიცებისათვის!“, „არ დავუშვებთ კოსმოსის მილიტარიზაციას!“. და მრავალჯზის, მრავალ ენაზე გაისმის სიტყვა „მშვიდობა“.

ტაშით მიესალმებიან მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **მ. ს. გორბაჩოვი, ბ. ა. აკიევი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ს. ლ. სოკოლოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. პ. ბირიუკოვი, ა. თ. დობრინინი, მ. ვ. ზიმიანინი, ა. ნ. იაკოვლევი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკონოვი, გ. პ. რაზუმოვსკი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **ი. ვ. კაპიტონოვი,** აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

ტრიბუნაზე დგანან პარტიისა და შრომის ვეტერანები, ოქტომბრის რევოლუციის და დიდი სამამულო ომის მონაწილენი, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. აქვეა მრავალი საზღვარგარეთელი სტუმარი. მოვიდნენ სსრ კავშირში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დრო თითქოს გაირინდაო დღესასწაულის მოლოდინის უკანასკნელ წუთებზე. მაგრამ აი, კრემლის კურანტებმა 10-ჯერ დაკრეს. ახმიანდნენ დფდაფები, გაისმის პირველი მაისის საზეიმო სადიდებელი.

მოედანზე მოდიან კოხტად მორთული მანქანები. პარტიის პროგრამა, კომუნისტთა ყრილობის ტრიბუნიდან მთელი საბჭოთა ხალხისთვის ნათქვამი სიტყვა მხოლოდ მაშინ იქცევა რეალობად, როდესაც თავდადებული შრომით დავუჭერთ მხარს. არ დააშორონ ერთმანეთს სიტყვა და საქმე, ამ მიზანს ისახავს ყველა მოსკოველის საერთო ძალისხმევა. სწორედ ამიტომ დედაქალაქის — შრომის, მეცნიერების, მარად ახალგაზრდა ძალიებული გონების ქალაქის დროშის ბაირახტრობა დაავალეს მუშას, სწავლულს, სტუდენტს. ი. მალეევი არის ქარხანა „წითელი პროლეტარის“ მრანდავი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მოსკოვის საბჭოს დეპუტატი. აკადემიკოსი ი. გულიაევი ელექტრონიკისა და ინფორმაციის დამუშავების სისტემათა დარგის თვალსაჩინო სპეციალისტი, ორგზის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ევროპის ფიზიკოსთა საზოგადოების პრემიის ლაურეატია. იულია ჩერნოვა „ნამსახურობის სიო“ ჯერჯერობით მოკრძალებულია: იგი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტუდენტია. მაგრამ თავის მთავარ სადღესასწაულ საქმეს ნამუსიანად ასრულებს, — იგი ფრაადოსანი, ლენინური სტიპენდიატია. „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, — ერთსულოვანი „ვაშათი“ აიტაცა შეძახილი ათასობით ხმამ. მავზოლეუმის ტრიბუნაზე ამბიან პიონერები. ისინი ყვავილებსა და ალისფერ ბაბთებს გადასცემენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს.

წითელი მოედანი ეგებება დღესასწაულის მასპინძლებს — დედაქალაქის მშრომელთა მრავალათასიან რაზმს. დღეს მოსკოვი ამბობს ახალი ხუთწლედის გეგმების შესრულების პირველ მიღწევათა პატჯს. აი, რამდენიმე ციფრი: ოთხი თვის მანძილზე მოსკოვში გამომუშავებული მრეწველობის პროდუქციის მოცულობა დაგეგმილი სამი პროცენტის ნაცვლად 5,4 პროცენტით გაიზარდა. მთელი ეს მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე — ნაყოფიერების ზრდის სოციალისტური ვალდებულება 1,4-ჯერ არის გადაჭარბებული.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გვაქვს რიგზე. იმ პრინციპული, კონსტრუქციული კრიტიკის პაპუზად, ყრილობის ტრიბუნიდან რომ გაისმა, მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ყველა რეზერვის ეკონომიკური, შრომითი, იდეოლოგიური რეზერვების ამოქმედების ზუსტი სტრატეგია. დღევანდელ დემონსტრაციაზე მრავლად ვხედავთ მუშათა პორტრეტებს. თუმცა, რა გასაკვირია? ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს. ყოველი მათგანი გმირი თავის ადგილზე, მერედა რა, თუ ეს ძალზე უბრალო და მოკრძალებული ადგილია. სწორედ ეს არის

(დასასრული მე-2 გვ.)

ზეიმი რესპუბლიკებში

საზეიმოდ აღნიშნა ჩვენმა სამშობლომ პირველი მაისის დღესასწაული — სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ პირველი მაისობა. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე საბჭოთა ადამიანებმა აღნიშნეს დამკვრელური მუშაობით, პარტიის წინასწარდასახულობათა, მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების განხორციელებისათვის მეუპოვარი ბრძოლით. თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება — მთელი ძალ-ღონე, გამოცდილება და ცოდნა მოახმარონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, გამოთქვეს ჩვენი დიადი მოძმე ხალხთა კავშირის ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებმა, რომლებმაც სადღესასწაულო სვლაში მიიღეს მონაწილეობა.

დემონსტრაციების მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ: ლენინგრადში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ფ. სოლოვიოვი;** კიევში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. შჩერბიცკი,** მინსკში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ნ. სლიუნკოვი;** ალმა-ათაში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **დ. ა. კუნაევი.**

სადღესასწაულო დემონსტრაციების მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების — უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები. (საკდესი).

მცნობოდნენ საქართველოს

ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ეგორგოს იაკოვუ 1 მაისს თბილისში დაესწრო მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ დემონსტრაციას.

სტუმარი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ მცხეთაში, სადაც დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

იმავე დღეს კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისიდან მოსკოვს გაეშგზავრა.

მასთან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კვიპროსის რესპუბლიკაში ს. ტ. ასტავინი და კვიპროსის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მიხეილ ე. შერიფისი, რომლებიც თან ახლავან მას ქვეყანაში მოგზაურობის დროს.

თბილისის აეროპორტში, რომელიც მორთული იყო კვიპროსის რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებით, სტუმრები გაიცილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ს. ტ. რიგვავამ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. დ. ჯავახიშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქინფორმი).

მიზანია საუკეთესო საბოლოო შედეგები

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო დემონსტრაცია

პირველი მაისი! გაზაფხულისა და პლანეტის ყველა ადამიანის დღესასწაული! თუმცა ახალ წელს დედამიწელები სხვადასხვა დროს ხვდებიან, შრომის დღესასწაული კი ყველასათვის საერთოა — 1 მაისი!

წლევანდელი პირველი მაისი განსაკუთრებული, საიუბილეოა. დღეს იგი ასი წლის გახდა. განა ფიქრობდნენ ჩიკაგოელი მუშები, როცა 1886 წელს ქუჩებში გამოვიდნენ, რომ მათი დემონსტრაცია, რომელზეც რვაასათიან სამუშაო დღეს მოითხოვდნენ, დასაბამს მისცემდა სახელოვან ტრადიციას? განა ფიქრობდნენ ჩიკაგოელი მუშები, როცა მეეროდნენ:

„დავიჭანცეთ მუქთი შრომით, გვსურს სამყაროს გარდაქმნა...“ რომ გაუსწრებდნენ მოვლენებს, რომ ზუსტად ოცდათერმეტი წლის შემდეგ ადამიანები მეორე ნახევარსფეროში გარდაქმნიდნენ სამყაროს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. შემთხვევითი როდია ასეთი მტკიცე საპირველმაისო დღესასწაულის მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

საბჭოთა ადამიანებისათვის წლევანდელი პირველი მაისი მარტო საიუბილეო როდია. მისი ლაიტმოტივია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მთავარი მოწოდება: „საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განვახორციელოთ სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი“.

დიდი ენთუზიაზმით შრომობენ საბჭოთა ადამიანები ყრილობის მიერ მოწონებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამის განხორციელებისათვის. ჩანაფიქრების ენერგია გადაიქცევა კონკრეტული მოქმედების ენერგიად. ამის მკაფიო დადასტურება გახდა სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობა, რომელმაც ერთ დღეში ხუთწლედის ფონდში 200 მილიონი მანეთი გადარიცხა.

თხუთმეტ წელიწადში თვისებრივად ახალ საფუძველზე ერთიორად უნდა გავზარდოთ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი და ეროვნული შემოსავალი. — პარტიის ყრილობის მიერ დასახული ეს ამოცანა რთულია, მაგრამ მის შესრულებას შეეძლებთ. მისი განხორციელებისათვის საბჭოთა ადამიანებს, ისევე როგორც მთელ კაცობრობას, სჭირდებათ მშვიდობა.

მშვიდობა პირველი მაისის მუდმივი დევიზია. „მთავარია მშვიდობა“. ამ სიტყვებით განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა ჩვენი სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა ჯერ კიდევ მისი ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე. და დღეს მშვიდობა ყოფიერების ყველაზე საარსებო პრობლემა გახდა.

სწორედ მშვიდობისათვის ზრუნვით არის ნაკარნახევი სიტყვები, რომლებიც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა წარმოთქვა ბერლინში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის XI ყრილობის ტრიბუნიდან: „ჩვენს პოლიტიკაში არ არის დაგებული ნაფაგები. დასავლეთს მუშტს კი არ ვუღერებთ, გაშლილ ხელს ვუწვდით. ნაზგასმით მინდა აღვნიშნო: ჩვენ ურთიერთგაგების, გამალებული შეიარაღების შეზღუდვის გზას სისუსტის გამო როდი ვეძებთ. ჩვენ გვჭირდება მშვიდობა, მაგრამ იგი ყველას სჭირდება. ჩვენი პოლიტიკა ნაკარნახევია ზრუნვით კაცობრიობის, შესაძლოა გალაქტიკის ვარსკვლავეთის სივრცეებში ერთადერთი ცივილიზაციის გადარჩენისათვის“.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები, სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის ვრცელი პროგრამა თვალსაჩინოდ მოწმობს პატიოსან და გულღია პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს ზრუნვა კაცობრიობის ცივილიზაციის ბედისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ მათი კონკრეტული წვლილი მშვიდობის საქმეში — ეს არის დამკვრელური შრომა, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას.

თითოეულ რესპუბლიკასა და ოლქში, თითოეულ შრომითს კოლექტივში მიმდინარეობს რადიკალურ გარდაქმნათა პროცესი. იგი გაივლის ადამიანთა გონებასა და გულს, განამტკიცებს აქტიურ ძიებას, მასების ნოვატორობას, ინიციატივას.

პირველი მაისი — ეს არის დღესასწაული, რომელიც გვიჩვენებს, რა ხილულად მკვიდრდება თითოეულ შრომითს კოლექტივში დღევანდელობის მთავარი დევიზი — დაჩქარება.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთაში, ცვლილებათა მაცოცხლებელი სიო გაჰდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის შარშანდელი აპრილის პლენუმის, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

სამი ლენინის ორდენის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის, ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი საქართველო დღეს ხუთწლედის მარშზეა. რესპუბლიკაში მცხოვრები 80 ეროვნების წარმომადგენლები ახლა მეტ ელექტროენერგიას აწარმოებენ, ვიდრე რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური ერთად. მარტო შარშან საქართველოს მრეწველობამ გამოუშვა 112 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

და, როგორც ყოველთვის, რესპუბლიკის ყველა შრომითი გამარჯვების ავანგარდშია მისი დედაქალაქი თბილისი.

მშვიდობის, მეგობრობისა და აღმშენებლობის დროშებით გამოვიდა სადღესასწაულო მარშზე მშრომელი თბილისი.

...თბილისი განსაკუთრებულ როლს ასრულებს რესპუბლიკის ცხოვრებაში. იგი არის მისი უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ცენტრი.

თბილისი აწარმოებს საქართველოში გამოშვებული ელმავლებისა და გაზის ტურბინის 100 პროცენტს, ზედა ტრიკოტაჟის 91 პროცენტს, მთელი ინდუსტრიული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს. მარტო ერთ დღეში ქალაქი ქვეყანას აძლევს 9 თანამედროვე ჩარხსა და 37 ათას წყვილ ფეხსაცმელს, 72 ტონა საკონდიტრო ნაწარმსა და 345 ათასი მანეთი შეაქვს ბინების მშენებლობაში. ყოველდღიურად სამუშაო ადგილს იკავებს 598 ათასი თბილისელი.

მოელენებით მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, თბილისი ახალგაზრდაა. 30 წლამდე მცხოვრებლები შეადგენენ მისი მოსახლეობის დიდ პროცენტს.

თავისი ბიოგრაფიის ახალი ფურცელი თბილისმა დაიწყო თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ. სწორედ იმ დროიდან დაიწყო მტკიცე გარდატეხა საქართველოს დედაქალაქის შრომელთა საქმიანობაში, რომელსაც ისინი ეწევიან ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების, ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიის პირველი მდივანი **ი. ფ. სოლოვიოვი;** კიევში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. შჩერბიცკი,** მინსკში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ნ. სლიუნკოვი;** ალმა-ათაში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **დ. ა. კუნაევი.**

სადღესასწაულო დემონსტრაციების მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების — უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ესტონეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები. (საკდესი).

ორბიტის ახალი ამბები

ფრენის მართვის ცენტრი, 30 აპრილი. (საკდესი). მთავრდება ლეონიდე კიზიმისა და ვლადიმერ სოლოვიოვის ორბიტული ფრენის მეშვიდე კვირა.

გასული დღეების განმავლობაში პილოტირებული კომპლექსის ეკიპაჟი ახორციელებდა „პროგრეს-26“ ავტომატური სატრანსპორტო ხომალდის გადმოტვირთვას, ასრულებდა ახალი ხელსაწყოებითა და მოწყობილობით „მირ“ სადგურის კმაყოფვრივის ოპერაციებს. ატარებდნენ აგრეთვე გეოფიზიკურ ექსპერიმენტებს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის პროგრამის შესაბამისად.

დღეს კოსმონავტები განაგრძობენ მუშაობას სატვირთო ხომალდთან, შეასრულებენ დედამიწის ზედაპირის ცალკეული რაიონების ვიზუალური დაკვირვებების სერიას და ხელის ფოტოაპარატურით გადაღებას, მოაწყობენ ორსაათიან ფიზიკურ ვარჯიშს.

1 მაისს ეკიპაჟი დაისვენებს. კოსმონავტებისათვის დაგეგმილია მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციის სატელევიზიო რეპორტაჟი წითელი მოედნიდან.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ორბიტიდან მოხსენებების თანახმად „მირ“-„სოიუზ ტ-15“-„პროგრეს-26“ პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

ლეონიდე კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი თავს კარგად გრძნობენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1986 წლის 29 აპრილს მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 82 წლისა გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, გადამდგარი გენერალ-მაიორი

ვალერიან სერგის ძე ძაბახიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პირველი მაისი: დაჩქარების გაზაფხული

(დასასრული)

მთავარი. ასობით, ათასობით, მილიონობით ადამიანის შრომა ერთმანეთს ერწყმის და ხდება სოციალისტური საზოგადოების წარმატებათა ძირითადი მამოძრავებელი ძალა, საწინდარი და საძირკველი.

„დაე, მტკიცდებოდეს სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობა!“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ მოწოდებას, რეპროდუქტორიდან რომ მოისმის, უშუალო კავშირი აქვს „წითელი პროლეტარის“ ჩარხმშენებლებთან.

ახლანდელი ხუთწლედი მათთვის განსაკუთრებულია. მისი პირველი ცვლებიდანვე ერთიანი რიტმით ამოქმედდა ბულგარეთის ქალაქ სტარა-ზაგორას „ბეროეს“ რობოტსაშენებელი სამეცნიერო-საწარმოო კომბინატისა და ქარხნის კონვეიერები. ასე აუშაოდა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის პირველი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომელმაც დასაბამი მისცა მომძე ქვეყნების თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპს.

ინტერნაციონალური მეგობრობის თემას კიდევ ერთ შტრიხს უმატებს მოსკოვის სახარისხებელ-ლ დეპოს კოლონა. დეპო და მოძრაობა განუყოფელი ცნებებია. აქ იწყებენ გზას შორ რეისებში მიმავალი ლოკომოტივები. აქ იწყებოდა მოძრაობებიც, შემდეგ სრულიად საკავშირო გაქანება რომ პოვეს. სახელმოხვეჭილი კოლექტივის წარმომადგენლობისა და წითელ მოედანზე დეპოს დროშის გამოტანის პატივი დასდეს დღეს ოსტატ ნ. ლოგუნოვს. თექვსმეტი წლის ყმაწვილი იყო, კოლექტივში რომ მოვიდა. მას წილად ხვდა ბედნიერება ეშრომა პირველი შაბათობის მონაწილეთა, დიდი თაოსნობის შემოქმედთა გვერდით, კომუნისტური შრომის პირველ დამკვრელთა მხარდამხარ, და თავად მოეპოვებინა მათს რიგებში ჩადგომის უფლება. ოცდაათ წელიწადზე მეტია იგი დეპოში მუშაობს.

ოსტატს მესამე ხარისხის შრომით დიდების ორდენთან ერთად მკერდს უმშვენებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საპატიო რკინიგზელის ნიშანი. ეს ჯილდო მოიპოვა მან, როდესაც მომძე ქვეყანაში მუშაობდა ბრანდენბურგის სარკინიგზო მექანიკის ქარხანაში — მოსკოვის დეპოს ძმადნაფიც საწარმოში. როდესაც ერთმანთთან ჩადიან სტუმრად, რკინიგზელებს თან მიაქვთ ხოლმე მუშის სპეცტანსაცმელი.

მარშზე არიან ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის მშრომელები. ორი თვის წინ, სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილ შაბათობაზე, გამოუშვეს ახალი მოდელების მანქანების პირველი პარტია — ავტოქარხნელთა კოლექტივის ნობათი ყრილობას. ამით გადაიშალა ახალი ფურცელი ქარხნის ისტორიაში. და ბევრი რამ გააკეთა საამისოდ ალექსანდრე მოროზოვის ბრიგადამ, რომელსაც დღეს მინაჭებული აქვს უფლება წარმომადგენლობდეს აეტომობილმშენებელთა ოცდაათათასიან კოლექტივს.

ჩვენი ახალი „მოსკვიჩი“ — თქვა ბრიგადირმა, — ეს არის არა მარტო მთელი საწარმოს ძირეული გარდაქმნა და მკვეთრი შემობრუნება ტექნოლოგიაში, ეს არის მოძველებული ფსიქოლოგიისა და საქმისადმი ყავლგასული დამოკიდებულ ე ბ ი ს მსხვრევა. ცოდვა გამხელილი სკობს: ჩვენ, მუშებს, გული გვტკიოდა, როცა გვესმოდა საყვედურები ჩვენი „მოსკვიჩის“ ხარისხის გამო. მაგრამ მხოლოდ თითო-ოროლა კაცი თუ უკავშირებდა ამ საყვედურს თავის პირად ხარვეზებს. ასე რომ, დავიწყეთ საკუთარი თავით, თითოეული სამუშაო ადგილით. მოვუკელით თამბაქოს მოსაწევად სირბილს, ლაპარაკს, მოვუმატეთ კეთილსინდისიერებას, ორგანიზებულობას, საქმისადმი ყურადღებას — და ასე დავამკვიდრეთ მუშაობის ახალი სტილი.

დემონსტრანტთაგან არავის უკვირს, როდესაც რომელიმე ჩვენგანი, რეპორტიორის უფლებით რომ დგება მუშათა მწყობრში, სიტყვას ჩამოაგდებს არა გაზაფხულზე და დარიან ამინდზე, არამედ ქვეყნის საარსებო საქმეებზე, იმ მადლიან აღმოსაცენზე, საკვლევის შედეგებს უსწრაფესი დანერგვისაკენ. დღეს მეცნიერებს მოეთხოვებათ მეტი ინიციატივა და შემოქმედებითი აქტიურობა. მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი და მეტი პასუხისმგებლობა მეცნიერების, თანამედროვე ტექნოლოგიის დონისათვის.

მრავალათასიან საგაზაფხულო ერიადმულს მოუცავს წითელი მოედანი. იცვლება რაიონებისა და ქარხნების ემბლემები. დღესასწაულის მუსიკა კი უცვლელია — მაჟორული, საპირველმაისო, სიგეთის დამამკვიდრე ბ ე ლ ი. ღელეს რევოლუციური მელოდიები, პირველმკვალავთა მარშები, ჩვენი გამარჯვებების სიმღერები. მუსიკა მუდამ იყო ადამიანის

მოსკოვი. მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე.
საკდეს-საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ყველა მიღწევის უცილობელი და ყველაზე აქტიური მონაწილე. საუბარში ებმება კომპოზიტორი ანდრია ეშპაი, რომელსაც დღესასწაულის წინ ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა. ავტორი კანტატისა „ლენინი ჩვენთან არის“, უვერტიურისა „კრემლის კურანტები“, პოპულარული სიმღერისა სერიოჟაზე.

— რა მინდა გითხრათ ახლა, უდიდესი ემოციური აღმავლობის დღეს? — ამბობს ა. ეშპაი, — რა თქმა უნდა, მინდა გამოვთქვა ჩვენი საერთო წადილი — ვიცხოვროთ მშვიდობიან პირობებში, ხელოვნება უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანზე. უფრო მეტიც, ხელოვნებას შეუძლია დაიცვას საზოგადოების მთავარი უფლება — ადამიანთა საზოგადოებად ყოფნისა და მშვიდობიანი ცხოვრების უფლება.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაში ბერლინში ხალხებს ჩაუსახა იმედი, რომ შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ბირთვული კატასტროფა. ამ ალალი სიტყვების დედაარსი იმედის ნაღარად გაისმის: არასდროს არ დაიწყება ომი ჩვენი მიწა-წყლიდან, არასდროს!

„ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს!“ „დაე, მტკიცდებოდეს ყველა ქვეყნის კომუნისტების კლასობრივი სოლიდარობა და თანამშრომლობა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!“ — გაისმის მოედანზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი და ერთსულ „ვაშასთან“ ერთად, დემონსტრანტების კოლონებიდან რომ მოქუხს, დღესასწაულს ალისფერი ალმებით ესალმებიან მოსკოველ სტუმრები. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში პირველი მაისის შესახვედრად ჩამოვიდნენ ასზე მეტი ქვეყნის პროფკავშირული მოძრაობის დელეგაციები, რომელთა ერთ-ერთ ნაწილს ამ ფურცლებზე ვიხსენებ. ესენი ამერიკელ ინტერნაციონალისტი მოგვიწოდებდა, ხორცშესხმულია გერმანიის მიწა-წყალზე პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს სასიქადულო მიღწევებით. წლევანდელი დღესასწაული გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის გადაწყვეტილებათა შთაბეჭდილებით მიმდინარეობს. გულმთიდან შეხვედრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციასთან ორი სახელმწიფოსა და ხალხის — თანამშაზრეებისა და პარტიორების ურღვევი კავშირის განმტკიცების ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი გახდა.

ქაბული. ქაბულის ცენტრალურ მოედანზე კვლავ მოვიდა დღესასწაული. რამდენიმე დღის წინ ავღანელმა ხალხმა აპრილის რევოლუციის მერვე წლისთავი აღნიშნა.

— ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი ახალგაზრდაა, სულ 20 წლისაა, — ამბობს ავღანეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. პურდელი. — ყველაზე ძნელ მომენტში, როცა იმპერიალიზმმა გამოუცხადებელი ომი გაგვიჩაღა, ვიგრძენით მრავალი ქვეყნის მშრომელთა მტკიცე მხარდაჭერა, დაკრწმუნდით საერთაშორისო სოლიდარობის ძალაში.

მანაგუა. „ტრაბახო ვოლუნტარიო“ („ნებაყოფლობითი შრომა“) — ეს სიტყვები ისმოდა ნიკარაგუაში პირველი მაისის წინ: ათიათასობით მუშა და გლეხი.. შრომობდა შაბათობაზე, ხოლო გამომუშავებული სახსრები მათ სანდინისტური რევოლუციის დაცვის ფონდში გადარიცხეს. ნიკარაგუელებმა თავიანთი ნებაყოფლობითი შრომა უძღვნეს მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს. მანაგუის ბევრ საწარმოში გადაჭარბებით შესრულდა საწარმოო დავალებები, თქვა მშრომელთა სანდინისტური პროფცენტრის გენერალურმა მდივანმა ლუსიო ხიმენესმა. საფეიქრო ფაბრიკები, ლითონდამუშავებელი სახელოსნოები, კვების მრეწველობის ქარხნები კვლავინდებურად გრძნობენ ერთი წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ნიკარაგუასთან ვაჭრობისათვის დაწესებული ემბარგოს შედეგებს. მაგრამ მუშათა კლასი ამ რთულ პირობებშიც პოულობს შინაგან რეზერვებს, მკაცრად ზოგავს ნედლეულსა და ელექტროენერგიას, ასობით მუშა და გლეხი ჩაეწერა ამ დღეებში სახალხო მილიციის რაზმებში.

პარიზი. დაცარიელებული საქარხნო კორპუსებით და რეკორდულად დიდი უმუშევრობით იგებება პირველ მაისს საფრანგეთში მაისობების აკვანი და პირველი „წითელი“ მუნიციპალიტეტის მქონე პატარა ქალაქი მონლუსონი. მონლუსონი დღესაც „წითელი“ ქალაქია. მხოლოდ საკუთარი სიმტკიცისა და კომუნისტი მერის მხარდაჭერით შეძლეს აქაურმა მშრომელებმა ქალაქის უდიდესი საწარმოს — საბურავების ქარხანა „დანლოპის“ დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების მიღწევა. მუშური სოლიდარობის ძალას განსაკუთრებით გრძნობს დღეს ამ საწარმოს მუტაბაკი ალენ კლავო. მისი სახელი საფრანგეთში მშრომელთა უფლებებისათვის პროლეტის სიმბოლოო გახდა. მან სამუშაო დაკარგა მას შემდეგ, რაც მრომის ძნელი პირობების შესახებ უამბო გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტს. ალენი, რომელსაც ამხანაგები უდგანან მხარში, ცდილობს მიაღწიოს სამართლიანობას, — სამუშაოზე აღდგენას. მაგრამ ისევე როგორც ასი წლის წინათ, ბურჟუაზიული თემიდა არ ჩქარობს მუშაკის კანონიერი უფლებების დაცვას.

აი ცნობა პირველი მაისის საშობლოდან:

ჩიკაგო. სწორედ ეს ქალაქი გახდა მშრომელი ამერიკის მასობრივ მანიფესტაციათა ცენტრი. ორმოცდაათზე მეტი პროფკავშირული, კულტურული, ახალგაზრდული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეეიდა ჩიკაგოში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენათა მეასე წლისთავისადმი მიძღვნილი ერთთვიანი ღონისძიებების მოწყობის კომიტეტში. ამ ადგილზე სისხლიანი რეპრესიების მსხვერპლთა ძეგლი იხსნება. ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელები მეტოდიკურ ირაზმებიან თავიანთი ინტერესებისათვის საბრძოლველად. ამერიკის მუშათა კლასს არა აქვს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, რომ თავიდან აიცილოს ბირთვული ომი, მიაღწიოს მასობრივი მოსპობის საშუალებათა შემცირებას, მერე კი სრულ ლიკვიდაციასაც ქვეყნდ მშვიდობის გადასარჩენად, უთხრა საკდესის კორესპონდენტს ცნობილმა ამერიკელმა ისტორიკოსმა ფ. ფიუნერმა. იგი ავტორია ახლახან გამოცემული წიგნისა „პირველი მაისი. მუშათა საერთაშორისო დღესასწაულის ისტორია“.

მშვიდობისათვის, რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა ამერიკის სხვა ქალაქებში გამართული ტრადიციული მასობრივი მიტინგების მთავარი თემა. ამ დემონსტრაციათა ლოზუნგები ასეთია: „ვგმობთ ამერიკის ავიაციის მიერ ლიბიის ქალაქების დაბომბვას!“, „შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ნიკარაგუის წინააღმდეგ!“, „ბოლო მოეღოს ბირთვულ გამოცდებს!“.

წითელ მოედანზე გრძელდება „დღესასწაული დემონსტრაციას“ მოედანს ესმის დღეს მტკიცე ნაბიჯი მუშათა კოლონებისა, რომლებიც ყველა კონტინენტზე ავრცელებენ პროლეტარული სოლიდარობის იდეებს, ავლენენ მტკიცე გადაწყვეტილებას არ დაუშვას თერმობირთვული კატასტროფა. „ძვირფასო მეგობარო, მოდი, მშვიდობიანად ვიცხოვროთ“ — ეწერა ქალალდის მტრედების ქანქათა ფრთებზე, რომლებიც მოსკოველმა მოსწავლემ კატია ლიჩოვამ ჩაიტანა შორეულ ამერიკაში, სადაც ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების „მშვიდობისმყოფელ ბავშვთა“ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიწვევით. სიმბოლურია, რომ კატიას გზაზე პირველი ქალაქი ჩიკაგო იყო.

ახლა მშვიდობის პატარა ელჩი, როგორც კატიუშას უწოდებდნენ იმ დღეებში გაზეთები, დიდ-მაშასთან ერთად დგას სტუმართა შორის წითელ მოედანზე. მისი ღიმილი კრიალა წვეთია სიხარულის ზღვაში, რომლითაც დღევანდელ დღესასწაულს აფსებენ კოლონებში მომავალი კატიას თანატოლები, საბჭოეთის პიონერები. ყოველი მათგანი მზად არის უფროს თაობათაგან მიიღოს პლანეტის ულრუბლო მომავლისათვის ბრძოლის ესტაფეტა.

— ისეთი შესანიშნავი, წარმტაცი დღესასწაულის დროს, როგორიც პირველი მაისია, — თქვა კატიამ, — ისე მინდა მჯეროდეს, რომ ომი ვერ შემოაღწევს ჩვენს მიწაზე.

მოსკოველთა სადღესასწაულო მსვლელობისას თვალნათლივ წარმოჩნდა მშვიდობიანი შრომითი აღმშენებლობის ძალა და სილამაზე, იმ დაჩქარების ძალუმი ფეთქვა, რომელიც წლევანდელ გაზაფხულზე მთელ საბჭოეთს მსჭვალავს. პირველი მაისის საბოლოო აკორდი გახდა სპორტსმენებისა და მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეების გამოსვლა.

შრომა და შეთქმედება, ისევე როგორც დღესასწაული და სიმღერა განუყოფელი არიან. ქალაქელებმა და ბაბუკებმა აქ მოიტანეს მარადიული ახალგაზრდობის მუტი და გვაჩუქეს თვალწარმტაცი წარმოდგენა, რომელიც დამთავრდა მოსკოვური ვალსით ძველ ქვაფენილზე.

ლირიკულ მელოდიას მარში ცვლის. წამიერი გადაწყობა და მოედანზე, როგორც ფეიერვერკულ ფურცელზე, ცოცხალი წითელი ასოებით დაიწერა: „სკკპ“ და „XXVII“.

ქუხს ათასხმოვანი „ვაშა!“ „ლენინის პარტიას — დიდება!“, „საბჭოთა ხალხს — დიდება!“.

მხოლოდ პარტიისა და ხალხის ცოცხალი ერთიანობა, გაბედული გეგმებისა და თავდადებული შრომის შერწყმაა საწინდარი ჩვენი წარმატებებისა მშვიდობისა და პროგრესის გზაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით დასახულ გზაზე.

რეპორტაჟს წითელი მოედანიდან გადმოსცემდნენ საკდესის სპეციალური კორესპონდენტები: ტ. კურატოვა, ლ. ერმაკოვა, ა. ბელიკოვი, დ. დიგროვი, ნ. ულეზნოვი, ლ. ჩერნენკო.

ახალგაზრდობა შემართულია სამოქმედოდ

საქმიანმა და კრიტიკულმა განწყობამ განსაზღვრა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 29 აპრილს გამართული პლენუმის მთელი შინაარსი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ლორთქიფანიძის მოხსენებაში, პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში მთავარი ყურადღება დაეთმო არა მიღწეულ წარმატებათა ჩამოთვლას, რომლებიც არცთუ ცოტაა, არამედ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნას, მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებას, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში რაციონალური გამოყენების პრობლემას.

ცხრა ათასი კაცი — შარშანდელთან შედარებით ერთ-ნახევარჯერ მეტი გაგზავნა საქართველოს კომკავშირმა წელს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე.

რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციას უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებისა და ახალმშენებლობების ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექტების საკმარისი გამოცდილება აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, მონალისეთა 75 პროცენტი იმ ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებელები არიან, რომლებიც თავად მწვავედ განიცდიან კადრების ნაკლებობას.

პლენუმმა კომკავშირულ ორგანიზაციებს მოსთხოვა მეტი ყურადღება დაუთმონ კადრების აღზრდასა და ადგილებზე დამკვიდრებას, ვინაიდან ამ საქმეში ბევრი ნაკლი და ხარვეზია.

სამართლიანად გააკრიტიკეს სოფლის კომკავშირული ორგანიზაციები, სადაც შემცირდა კომკავშირელთა რიცხვი ისეთი მასობრივი სასოფლო-სამეურნეო პროფესიების მუშაკთა შორის, როგორიც არის მექანიზატორები, მეცხოველეები, საშუალო რგოლის ხელმძღვანელები. პლენუმზე აღინიშნა, რომ უნდა გააქტიურდეს რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. სამი მილიონი მანეთი — ასეთია სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ შემუშავებული და დანერგილი წინადადებებით მიღებული ეფექტი. ეს ურიგო მაჩვენებელი როდინ, მაგრამ ახლანდელ პირობებში ესეც აშკარად არ არის საკმარისი. გარდაქმნა უნდა შეეხოს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ახალგაზრდობის მონაწილეობის ყველა მხარეს. რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პრობლემის გადასაჭრელად შექმნა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა მონაწილეობის საკოორდინაციო საბჭო.

— გადაწყვეტილებაზე, რომელიც პლენუმზე აღინიშნა, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ყველა მხარეს უნდა შეეხოს. უპირველეს ყოვლისა, ფართო ფრონტი, „ქალალდმთხზველობის“, კაბინეტურობაზე. მუდმივად უნდა ვტრიალებდეთ ახალგაზრდობის შუა გ უ ლ შ ი, ვცხოვრობდეთ მისი საზრუნავით და ინტერესებით, მოსწყენი, უინტერესო მუშაობა შევცვალოთ ცოცხალი და მაძიებელი მუშაობით.

მეთორმეტე ხუთწლედი სკოლისათვის საყოველთაო ზრუნვის ხუთწლედად გამოცხადდა. საჭიროა, რომ იგი კომკავშირის ზრუნვის საგანი გახდეს. სკოლას ესაჭიროება კონკრეტული დახმარება და მხარდაჭერა, აღინიშნა პლენუმზე.

დიდმნიშვნელოვან აღმზრდელობითს ფუნქციად რჩება ახალგაზრდების თავისუფალი დროის მიზნადასახული და უნარიანი ორგანიზაცია. კომკავშირი შეფობს დიდი ბაკურიანის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის განვითარებას, ხოლო თბილისში მშენებარე ბავშვთა აღმზრდელობითი ცენტრის „მზიურის“ ობიექტები მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებშია შეტანილი.

ახალგაზრდული ცენტრები, კლუბები, დისკოთეკები, სპორტული ნაგებობანი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი თავიანთ მუშაობაში უნდა ითვალისწინებდნენ ნორჩი თაობის ინტერესებსა და მიდრეკილებებს.

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები კომკავშირულ ორგანიზაციებს ორიენტირებად უსახავენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის მთელი მუშაობის მაღალ საბოლოო შედეგებს.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პარტიულ სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით მ. ხაჩიძე განთავისუფლდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად აირჩიეს მ. ხარატიშვილი.

საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარედ პლენუმმა დაამტკიცა თ. ზვადაძე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნიკოლსკი.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. ალავიძე.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში გრძელდება მომზადარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გასულ დღე-ღამეში რადიოაქტიური ნივთიერებათა გამოყოფა შემცირდა, ატომური ელექტროსადგურის მიდამოებში და სადგურის დასახლებაში იკლო რადიაციის დონემ.

სპეციალისტების მიერ საკონტროლო პარატურის მეშვეობით განხორციელებული გაზომვები მოწმობს, რომ ბირთვული სთობმის დაყოფის კაჟეფური რეაქცია არ ხდება, რეაქტორი ჩახშობილია.

გაჩაღებულია მიმდებარე რაიონების გაუუმყიანებული უბნების გასაწმენდი სამუშაოები, მათს შესასრულებლად გამოყოფილია თანამედროვე ტექნიკითა და ეფექტიანი საშუალებებით აღჭურვილი სპეციალიზებული ქვეგანაყოფები.

დასავლეთის ზოგიერთი საავგენტო ავრცელებს ჭორებს, თითქოს ავარიის დროს ატომურ ელექტროსადგურში ათასობით ადამიანი დაღუპულიყოს, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ფაქტობრივად დაიღუპა 2 კაცი, ჰოსპიტალიზებულია სულ 197; მათგან 49 კაცმა შემოწმების შემდეგ დატოვა ჰოსპიტალი. საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და დაწესებულებანი ნორმალურად მუშაობენ.

30 აპრილს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში გრძელდებოდა მუშაობა ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებისათვის.

რადიოაქტიურობა ატომური ელექტროსადგურის ტერიტორიაზე და ელექტროსადგურის დასახლებაში ერთნახევარ-ორჯერ შემცირდა.

მიმდინარეობს მუშაობა ატომური ელექტროსადგურის ტერიტორიის მიმდებარე გაუუმყიანებული უბნების დეზაქტივაციისათვის.

კვლავ უწევენ დახმარებას დაშავებულთ, მათ შორის 18 კაცი ძძიმე მდგომარეობაშია.

დაშავებულთა შორის უცხოელი მოქალაქენი არ არიან.

თეორიის საკითხები

ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა

ცოცხალი, შემოქმედებითი სოციალიზმი თვით ხალხის მასების ქმნილებაა. ლენინის ეს ლაკონიური ფორმულა სოციალიზმის აშენების, მისი შემდგომი წინსვლისა და განვითარების დედაარს გამოხატავს. რაც უფრო შორს მიიბიჯებს სოციალისტური საზოგადოება თავის ისტორიის გზაზე, მით უფრო მეტი ხალხი უნდა ებმებოდეს ყოველდღიურად მათ წინაშე წამოჭრილი ამოცანის განხორციელებაში. ამიტომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პარტიის მიერ დასახული კურსის განხორციელება აუცილებლად გულისხმობს ჩვენი დემოკრატიის, ხალხის სრული ხელისუფლების ყველა ფორმის თანამიმდევრულ სრულყოფას. სკკპ XXVII ყრილობამ მკაფიოდ განსაზღვრა, რომ ამ პროცესის ღერძს თანამედროვე პირობებში შეადგენს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაში მშრომელების, მათი კოლექტივებისა და ორგანიზაციების აქტიური და ქმედითი მონაწილეობის საფუძველზე ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის სულ უფრო სრული განხორციელება.

* * *

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შედეგად ხალხის თვითმმართველობის დამკვიდრების იდეა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ჯერ კიდევ „კომუნისტურ მანიფესტში“ გამოთქვეს. იქ ხაზგასმულია, რომ ექსპლოატატორთა უმცირესობის სახელმწიფო უნდა შეიცვალოს ხელისუფლების პრინციპულად ახალი, დემოკრატიული ორგანიზაციით. ეს უნდა იყოს პროლეტარიატი, რომელიც ორგანიზებული იქნება როგორც გაბატონებული კლასი, ანუ ისტორიაში პირველად მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა თვითონ უნდა გაგებდეს თავის საქმეებს.

მარქსიზმის ამ ფუძემდებლურ იდეებზე დაყრდნობით, ბოლშევიკური პარტიას ვ. ი. ლენინის მეთაურობით ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვება, ახალი სახელმწიფოფორმის შექმნა უნდა ნიშნავდეს ძირეულ გარდატეხას მასების თვითორგანიზაციაში, მათ მონაწილეობას სახელმწიფო საქმეებში. ბოლშევიკებმა გაბათილეს სუკკუნეობით დამკვიდრებული შეხედულებანი და გამოაცხადეს: ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ უკუეკუდოთ ცრურწმენა, თითქოს სახელმწიფოს მართვა, მართვისათვის ჩვეულებრივი, ყოველდღიური მუშაობა შეეძლოთ მხოლოდ მდიდრებს, ან მდიდარი ოჯახებიდან გამოსულ მოხელეებს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სახელმწიფოს მართვის საქმეს ვასწავლიდეთ შეგნებულ მუშებსა და ჯარისკაცებს და რომ ეს დაუყოვნებლივი დაიწყოს. ცხადია, ვ. ი. ლენინს მშვენივრად ესმოდა რაოდენ ძნელი იყო ეს ამოცანა ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც მეფის რუსეთია, გრძნობდა, რომ გარდაუვალი იყო შეცდომები, რომლებიც მშრომელებს მოელოდათ, როცა ხელს მოჰკიდებდნენ მმართველობის რთულ და ფაქიზ საქმეს. მაგრამ, ამბობდა იგი, განა არსებობს სხვა გზა იმისათვის, რომ ხალხს ვასწავლოთ საკუთარი თავის მართვა, შეცდომების თავიდან აცილება, თუ არა პრაქტიკის გზა?

კვლავ და კვლავ ჩვეულებრივ ლენინის ამ სტრიქონებს. ისინი მეტყველებენ, რომ უკვე 1917 წელს ჩვენი პარტიის ბელადი ნათლად ხედავდა ხალხის ქმედარიტ თვითმმართველობაზე გადასვლის ბერსპექტივას. ლენინის აზრით, იგი განუყოფელი იყო მშრომელთა მიერ სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვება, ამ ხელისუფლებისაგან და გამოიხატებოდა მართვაში მშრომელთა მაქსიმალურად სრული მონაწილეობით. ამასთანავე, მასების ასეთი მონაწილეობა, მათი თვითმმართველობა არ უპირისპირდებოდა მშრომელთა სახელმწიფოს, პირიქით, მის მთავარ შინაარსად იყო წარმოდგენილი. და ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

აქამდე ხომ თვითმმართველობის იდეა ასეთი ფართო თვალსაზრისით ჯერ არავის განეხილა. თავდაპირველად იგი იმავ როგორც წვრილი მწარმოებლის იმ მოთხოვნილების გამოხატულება, რომ თვითონ განეგო თავისი ქონება, თავისი სამუშაო, საქალაქო თუ სასოფლო თემი. მაგრამ კერძო საკუთრების ბატონობისა და ექსპლოატატორთა კლასების ყოვლისშემძლეობის დროს ამ იდეამ ხორცი შეიძლება შეისხას მხოლოდ წვრილი, დაქაქსული ტერიტორიული თუ საწარმოო ერთეულების ადგილობრივ საქმეთა ვიწრო ფარგლებში. გაბატონებულ კლასებს არასოდეს არავისთვის არ გაუზიარებიათ და არ უზიარებენ თავიანთ კუთვნილ ძალაუფლებას. ამიტომ ადგილობრივ თვითმმართველობას ყოველთვის ისე უყურებდნენ, როგორც ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დაპირისპირებას. ამის საფუძველზე შობილა არცთუ ცოტა პოლიტიკური თეორიები, მათ შორის „მუნიციპალური სოციალიზმის“ რეფორმისტული კონცეფცია, რომლის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და მუნიციპალური საკუთრების გაფართოების გზით შეიძლება მივაღწიოთ კაპიტალიზმის თანდათანობითს შეზრდას სოციალიზმში.

როცა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური თაოსნობით მუშათა დეპუტატების საბჭოები შეიქმნა, რუსმა მენშევიკებმაც გამოაცხადეს, რომ საბჭოები შეიძლება იყოს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იკისრონ სახელმწიფო ხელისუფლება. ლენინელმა ბოლშევიკებმა მტკიცედ გაილაშქრეს ასეთი ოპორტუნისტული თვალსაზრისის წინააღმდეგ. სახელმწიფო ხელისუფლების განსაზორციელებლად მშრომელთა შეკავშირებისათვის, იმისათვის, რომ ხალხი თვითონ მართავდეს თავის თავს, ლენინის აზრით, უნდა გამოგვეყენებინა საბჭოების მთელი ერთობლიობა ცენტრში და ადგილებზე. ეს კი ნიშნავდა, რომ ხალხის თვითმმართველობის საბჭოური ფორმა ვერ და ვერ შეეგუებოდა „ადგილობრივი თვითმმართველობის“ ვიწრო ფარგლებს, რომელიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არსებობდა. არა წვრილმანი სთიმო საქმეები, არა სახელმწიფო ხელისუფლების დანამატი, არამედ თვით ეს ხელისუფლება, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა სახელმწიფო საქმეებში მშრომელთა აქტიური და მასობრივი მონაწილეობა, მათი თვითმმართველობა, — აი, ასეთად ხედავდა ვ. ი. ლენინი საბჭოთა რესპუბლიკას. მშრომელთა ქმშმარიტი თვითმმართველობა შესაძლებელი ხდება მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

რა თქმა უნდა, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდის პირობებმა, შიმშილმა და გაპარტახებამ, უწიგნურობამ და უკულტურობამ საშუალება არ მოგვცა მაშინვე მთლიანად უზრუნველგვეყო ყველა მშრომელის მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში. კულტურის დაბალი დონე, წერდა ვ. ი. ლენინი, იმას შვრება, რომ საბჭოები, რომლებიც მათივე პროგრამის თანახმად **მშრომელთა მეშვეობით** მართვის ორგანოებს წარმოადგენენ, სინამდვილეში **მშრომელებისათვის** მართვის ორგანოებია პროლეტარიატის მოწინავე ფენის მეშვეობით. და თუმცა იმ უძნელეს ყამს ძალზე ბევრი რამ გაკეთდა მართვაში მასების ჩაბმისათვის, მრავალსაუკუნოვანი ექსპლოატაციის შედეგად მშრომელებს შორის დამკვიდრებული შეხედულების დაძლევა, თითქოს სახელმწიფო მთთვის რაღაც უცხო და მტრული, უაღრესად რთული პრობლემა იყო. ხალხი, რომელმაც სოციალისტური რევოლუცია მოახდინა, ჯერ



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: თბილისი, 1986 წლის 1 მაისი. რესპუბლიკის მოედანი. ცენტრალური ტრიბუნა.

გ. კიკვაძისა და ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამიზანია საუკეთესო საბოლოო შედეგები

(დასასრული)

ტიულ-პოლიტიკური მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების დახვეწისათვის.

საქართველოს დედაქალაქი მთელი ქვეყნის ზრუნვის საგანია. სწორედ ამით აიხსნება ასეთი დიდი ყურადღება მისი ცხოვრებისადმი. ამას მოწმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ახლახან მიღებული დადგენილება 1986-1990 წლებში თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

მასში გათვალისწინებულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ძველი ქალაქის ეკონომიკის, კულტურის უფრო მეტ აყვავებას, სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის განვითარებას. მარტო ბინები აშენდება 2.115 ათასი კვადრატული მეტრი.

თბილისს დაამშვენებს ბევრი ახალმშენებლობა. ეს იქნება საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოები, კინოთეატრები, უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო-ლაბორატორიული კორპუსები, საცურაო აუზები.

ვლინდება ზრუნვა ქალაქის ეკოლოგიისთვისაც. თბილისის ფარგლებს გარეთ გაიტანენ ტყავის ქარხნებს, თამბაქოს ფაბრიკებს, სპანის ქარხანასა და ბამბის ფაბრიკას, ავტოგარაჟებს, რომლებიც აბუქყიანებენ დედაქალაქის ჰაერის აუზსა და წყალსატევებს.

მეტროს ახალი სადგურები „თემქედან“ „გლდანამდე“, „დელისიდან“ „ვაჟა-ფშაველამდე“, „რუსთაველიდან“ „ვახტანგ-დეტ“ თბილისელებს ხელს შეუწყობს გადაწყვიტონ ტრანსპორტის პრობლემა.

სასიხარულო პერსპექტივებია დასახული თბილისელების წინაშე უახლოეს წლებში. ჯერჯერობით კი ისტორიის საათი აჩვენებს 1986 წლის პირველი მაისის 10 საათს.

მაისის სიოს მოაქვს გაზაფხულის სურნელება, აფრიალებს ალისფერი დროშების ზღვას. მოედანი, სადაც ფრიალებენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის, ყველა მოძმე რესპუბლიკის ალისფერი ტილოები, საზეიმოდ ირინდება.

საღღესასწაულოდ მორთულ რესპუბლიკის მოედანზე აღმართულ ტრიბუნაზე ადიან პარტიისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, ვ. დ. ვაბუნია, პ. ვ. ვეფლაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ვ. ვარძელიაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ვ. ი. ალავიძე, ვ. ვ. ლორთქიფანიძე, გ. დ. ზგელაძე, თ. ი. ბოსაშვილი, ნ. რ. საჯაია,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ვ. სიხარულიძე,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ვ. ი. ვადაჭკორია, ბ. დ. მაზარაშვილი, ო. ვ. მელქაძე, ი. ი. ქედაშვილი,** თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ზ. შ. ფესხიშვილი.**

დღესასწაულის სტუმართა შორის არის კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გეორგიოს იაკოვუ, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით. რამდენიმე დღის განმავლობაში გ. იაკოვუ ეცნობოდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას.

— ჩემთვის, — ამბობს სტუმარი, — დიდი ბედნიერებაა თქვენს შშვენიერ ქალაქში გამართულ ესოდენ დიდებულ დღესასწაულში მონაწილეობა. შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი თქვენი რესპუბლიკის შთამბეჭდავ მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების დარგში. და დღეს, პირველი მაისის დღესასწაულობისას, გამოვთქვამ იმედს, რომ მსოფლიოში აღარ იქნება ადამიანის მასობრივი მოსპობის იარაღი, რომ კაცობრიობას ნათელ მომავალი დაუდგება.

ვაისმის ფანფარების ხმა. ისინი გვამცნობენ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის შშრომელთა სპირველმაისო დემონსტრაციის დაწყებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას: „გაუმარჯოს 1 მაისს — შშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!“ მოედანზე შემოსული ლენინის და გლდანის რაიონების დემონსტრანტთა კოლონები უპასუხებენ მძლავრი „ვაშთი“.

...მოდიან კოლონები, თითქოს ფურცლავენ საბჭოთა ადამიანების მიღწევათა ცოცხალ მატიანეს.

დღესასწაულს კარგი საჩუქარი მოუმზადეს თბილისელმა ელმავალმშენებლებმა. ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე გავდა ახალი ელმავალი „ვლ-15“. კომუნისტური შაბათობის დღეს ელმავალმშენებლები შრომობდნენ წლის დამდეგიდან დაზოგილი ელექტროენერგიით. შეიძლება ვიამაყოთ წარმატებებით, მაგრამ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, ასეთია ახალი ხუთწლედის დაჩქარების სტრატეგია. ამიტომაც ელმავალმშენებელთა კოლექტივმა, — თქვა ამწყობ ზეინკალთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა როლანდ გოგიაშვილმა, — გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს ვოლგის საავტომობილო ქარხნის მუშათა ინიციატივას — უსასყიდლოდ იმუშაოს ოთხი თავისუფალი დღე საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლების, სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე. მაგალითად, დონიკო რირიაშვილისა და ოთარ კოკოვის ამწყობ ზეინკალთა და ნიკო ქოჩლაძის ხარატთა ბრიგადები აუშენებენ საავადმყოფოპოლიკლინიკის შენობას თემქის დასახლებაში.

რ. გოგიაშვილმა წინადადება წამოაყენა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიონ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს კომკავშირის პრემის ლაურეატი მერან გაჩიჩილაძე.

მერაბი, რომელიც მიაბიჯებს თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სახელგანთქმული კოლექტივის კოლონაში, სიხარულით იღიმება. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატმა ეს გამოწვევა მიიღო. თუ ვინ იქნება უკეთესი, ამას დრო გვიჩვენებს.

საპირველმაისო მარშზე გავგზავნოთ უკეთესთა შორის საუკეთესოები — ასეთია ტრადიცია. მაგრამ როგორ შევარჩიოთ საუკეთესოები გლდანის რაიონში, სადაც მხოლოდ მიღწეული წარმატებების ნუსხა დიდ დროს დაიკერდა. გლდანელებმაც ისევე, როგორც რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა მშრომელმა, კარგად შეიგნეს, რომ ცვლილებების არსია რიცხობრივი მაჩვენებლებიდან ყურადღების ცენტრის გადატანა ხარისხსა და ეფექტიანობაზე, საშუალედოდან — საბოლოო შედეგზე, საწარმოო ფონდების გაფართოებიდან — მათ განახლებაზე, საობობ-ნედლეულის რესურსების გადიდებიდან — მათი გამოყენების გაუმჯობესებაზე, მეცნიერებათტევადი დარგების განვითარების დაჩქარებიდან — საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურაზე. აი რატომ არის, რომ გლდანის რაიონის შშრომელები დაჩქარებული ტემპით აბორიცეელებენ ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის, მასთან ერთად კიდევ ათეული სამრეწველო საწარმოს რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებას. აი რატომ არის, რომ სახელმწიფო ბანკის გრძელვადიანი საბანკო კრედიტის სახსრებით წარმოებს ჩაის კომბინატ „ბახმაროს“ მშენებლობა, რომლის პირველი რიგი უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ და შარშან რაიონის საერთო შემოსავალში 20 მილიონ მანეთზე მეტი შეიტანა. ეს სასიამოვნოა, მაგრამ პასუხსაგებიცაა.

პირველი მაისის სეხნია — დედაქალაქის პირველი მაისის რაიონი. პირველმაისელებმა სამშობლოს უპატაჟეს: ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ზრდამ შარშანდელთან შედარებით შეადგინა 210,4 პროცენტი. ეს საუკეთესო მაჩვენებელია არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანაშიც.

მაგრამ რაიონის მშრომელებმა იციან, რომ საწარმოო მიღწევები მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ ცვლილებებთან. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი მოითხოვს სოციალური პოლიტიკის უველაზე წინ დაყენებას. საპირველმაისო დღესასწაულისათვის სამტრედიის ქუჩაზე ჩაბარდა 16-სართულიანი საცხოვრებელი სახლი სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებისათვის. ახალმოსახლენი მადლობას უხდიან №3 სახლთსაშენებელი კომბინატის მშრომელებს — კ ა ლ ა ტ ო ზ ვ. ქთამაძეს, მებეტონე ა. მაისურაძეს, მუშა ქალს ვ. აზაარიანს, მემონტაჟე-შემდღუღელს ნ. გორდიენკოს, რომლებმაც ვადამდე გაანაღდეს თავიანთი დავალებანი და სიხარული მოგვანეჭესო.

მარშზე არიან კიროვისა და ოქტომბრის რაიონების წარმომადგენლები. თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების მემოტორე-მკერავი, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი ნინო პანკოვა დემონსტრაციაზე თავის მოწაფეებთან ერთად მოვიდა. ისინი იმდენნი არიან, რომ მთგან შეიძლება მთელი კოლონა შევადგინოთ. ბევრი მათგანი თვითონ გახდა დამრიგებელი და ახალგაზრდებს ზრდის. მაგრამ ასეთია მუშური ტრადიცია — არ უნდა დაივიწყო შენი პირველი ნაბიჯები საწარმოში.

დემონსტრაციაზე გამარჯვების პატაკით მოვიდნენ აგრეთვე „თბილისგვირაბმშენებლებიც“.

— ახლა დაჩქარებით ვაშენებთ მეტროს დედაქალაქის ახალმშენებლობათა მიმართულებით. მეტრო მათ „დაახლოებს“ ცენტრთან.

— გაუმჯობესდება სატრანსპორტო მომსახურება, — ამბობს სახელგანთქმული მეტრომშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე დათაშვილი. მისმა ბრიგადამ კომუნისტური შაბათობის დღისათვის გაანაღდა ოთხი თვის დავალება.

კალინინის რაიონის დემონსტრანტთა კოლონაში მოდიან მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი რესპუბლიკის უველა მეცნიერის ღვიძლი საქმეა. საპირველმაისო ინტერვიუ ჩამოვართვეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ე. სეხნიაშვილს.

— აკადემიის სისტემის ინსტიტუტები 1200 ფუნდამენტურ და გამოყენებითს მეცნიერულ პრობლემას ამუშავებენ, — თქვა მან. — სახალხო მეურნეობაში უკვე დაინერგა 200-ზე მეტი მეცნიერული ნამუშევარი, რის მოზებითაც მიღწეულია ეკონომიკური ეფექტი 119 მილიონი მანეთის ოდენობით.

საგულისხმო ინიციატივა იშვა რესპუბლიკის მეცნიერთა სამაისო შეჯიბრებაში. ისინი ყოველთვიურად, უკანასკნელ პარასკევს დღეს აწყობენ თავიანთი ნამუშევრების გამოფენას, რომელსაც წარმოების მუშაკები ეცნობიან.

მაგრამ დაჩქარების სტრატეგია ახალ-ახალ აღმოჩენებსა და ნამუშევრებს მოითხოვს. ამ ცოტა ხნის წინათ დამტკიცდა თბილისის სახალხო მეურნეობის დარგების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 1986-1990 წლების კომპლექსური პროგრამა „პროგრესი და ეფექტიანობა-90“. იგი ხელს შეუწყობს ქალაქის, მისი მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ინტენსიურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

...ტრიბუნები მეუხარე ტაშით ეგებებიან ფილმს — „შშობლიურო ჩემო მიწავ“ შემქმნელებს, ჩვენც ვიჩქარით ჩამოვართვათ ინტერვიუ დღის გმირებს.

1986 წლის ლენინური პრემია მიენიჭა ამ ფილმის შემქმნელთა ჯგუფს — რეჟისორს რევაზ ჩხეიძეს, სცენარისტს სულიკო ჟღენტს; ოპერატორს ლომერ ახვლედიანს. მთავარი როლის შემსრულებელს თემურ ჩხეიძეს.

— ჩვენ ფილმს კარგი იღბალი დაებედა, — თქვა რევაზ ჩხეიძემ. — იგი ჰაერზეს XXVII ყრილობის დღეებში, ხოლო 1981 წელს ვილნიუსის საკავშირო ფესტივალზე მთავარი პრიზი მოიპოვა. ქართული კინემატოგრაფის დიდ ავტორიტეტს მოწმობს ის ფაქტიც, რომ ფილმი „ციისფერი მთები“ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მაგრამ საქართველოს კინემატოგრაფისტებმა ამასწინანდელ VI ყრილობაზე იღბლიანი ფილმებისა და მიღწევების შესახებ როდი გვკონდა სხა-ბაასი. ყრილობის მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს გადასაჭრელ პრობლემებს, საბჭოთა კინემატოგრაფის განვითარების გზებს, პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულ ამოცანებს.

საღღესასწაულო ტრიბუნებთან გამოჩნდნენ რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, მოდიან მწერლები, მუსიკოსები, მსახიობები, ერთი სიტყვით, ყველანი, ვინც თავისი ხელოვნებით სახელს უთქვამს რესპუბლიკის კულტურას მის ფარგლებს გარეთ.

მარშის ხმაზე რესპუბლიკის მოედანზე შემოდიან საქარხნო რაიონის შრომითი კოლექტივების წარმოგზავნილთა კოლონები. ტრიბუნებს ჩაუარეს მისი უდიდებულესობა მუშათა კლასის წარმომადგენლებმა. ესენი არიან თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, „საქსოფლმანქანის“, საწარმოო გაერთიანებების „თბილსარძისა“ და „განთიადის“ მოწინავენი.

შუა მოედანზე გამოჩნდნენ წითელი დროშებით მორთული მანქანები. ნაირფერი პანერები ასაბავენ ჩვენს წარმატებებს მეთერთმეტე ხუთწლეულში და ახლანდელი ხუთწლეულის ამოცანებს.

დემონსტრანტთა რიგებში არიან 26 კომისრის რაიონის მშრომელები. ქვეყანაში პირველი ჩამდინარე წყლების კონტროლის ავტომატიზებული სისტემის გამოცდას ახლახან შეუდგა თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზსაწყო“, რომელმაც კარგა ხანია დაიმკვიდრა რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაირაღარის პოზიცია. „ანალიზსაწყო“ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საწარმოთა საინდო პარტნორია. მის პროდუქციაზე ფართო მოთხოვნაა მომმე სოციალისტურ ქვეყნებში, რაც აღინიშნა კიდეც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სპეციალისტთა თათბირზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გაიმართა თბილისში ნივთიერებისა და მასალების ქიმიური შედგენილობის, ფიზიკური თვისებების, სტრუქტურის განსაზღვრის სამრეწველო საშუალებათა შექმნის პრობლემებზე.

დემონსტრანტთა რიგების თავზე მოჩანს პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი.

„მომავალს განსაზღვრავს ის, თუ როგორ ახალგაზრდობას აღვზრდით ჩვენ დღეს. ეს მთელი პარტიის, მთელი ხალხის ამოცანაა“, — ასეთი ტრანსპარანტით შემოდიან დედამოედანზე ორჯონიკიძისა და საბურთალოს რაიონების დემონსტრანტები.

მწყობრ რიგებად მოდიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, აგრეთვე მომავალი პედაგოგები და მედიკოსები.

მოედანზე ცისარტყელა აკიაფდა. მაგრამ იგი გაზაფხულის ქუქუნა წვიმამ როდი ააღლვარა. ეს საქართველოს ახალგაზრდობა უპატაჟებს სამშობლოს თავის წარმატებებს. მოედნის თავზე მოკურავს ნაირფერი პანერები, რომლებიც გამოხატავენ მეთორმეტე ხუთწლეულში ახალგაზრდობის ამოცანებს. „თუ ახალგაზრდებს პასუხსაგებ საქმეებს არ დავავალებთ, ვერც პასუხისმგებლობას გამოვუმუშავებთ“, „ჩვენ სამოქმედოდ ვართ შემართულნი“.

სიმბოლურია, რომ მანიფესტაციას ახალგაზრდობა ამთავრებს. მომავალი ხომ სიჭაბუკეს ეკუთვნის. ხოლო იმისათვის, რომ მომავალი ცხადად იქცეს, მშვიდობაა საჭირო. აი რატომ არის, რომ საპირველმაისო დემონსტრაციის თითქმის ყველა კოლონა მოაბიჯებს ლოზუნგით „დაე დამკვიდრდეს მსოფლიოში უიარაღო და უომო მშვიდობა!“.

თბილისის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია გადაიქცა პარტიისა და ხალხის ერთიანობის დღესასწაულად. მან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ რესპუბლიკის შრომელები ისწრაფვიან ხორცი შეესხან სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს. (საქინფორმი).

სურათებზე: საპირველმაისო დემონსტრაცია რესპუბლიკის მოედანზე. ხ. კილაძის, შ. კრიმსკის, ვ. გენგიურის და ჯ. ლომაძის ფოტო.

მოკრატიის ფორმების განვითარებასთან. აქ პირველ ადგილზე დგას შრომითი კოლექტივების აქტიურობის გადიდება. პარტია აყენებს ამოცანას თანდათან გავაფართოოთ იმ პრობლემათა წრე, რომელთა გამო მიღებული შრომითი კოლექტივების გადაწყვეტილებებიც საბოლოოა, გავზარდოთ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების როლი, თანდათან დავნერგოთ საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკების არჩევითობა. ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი იმის შესახებ, რომ საერთო კრებებს შორის პერიოდში არა მარტო ბრიგადებში, არამედ საწარმოების დონეზეც მოქმედებდნენ შრომითი კოლექტივების საბჭოები. შესაბამისად, თვითმმართველობის პრინციპები სულ უფრო ღრმად შეაღწევს ეკონომიკურ ცხოვრებაში, წარმოების სფეროში. ამასთან თვითმმართველობა საწარმოო კოლექტივებში მთლიანად შეესატყვისება ეკონომიკის სახელმწიფოებრივ გეგმიან ხელმძღვანელობას, ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული და საკონტროლო ფუნქციების გაღრმავებას, ცენტრალიზმისა და ადგილობრივი ინიციატივის, სახალხო მეურნეობის მართვაში ერთმმართველობისა და არჩევითობის უკეთ შეხამებას.

ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფოებრიობის ფარგლებში ინტენსიურად ვითარდება პოლიტიკურ ცხოვრებაში მშრომელთა უშუალო მონაწილეობის სხვა ფორმები. ფართოდ გავრცელდა მოქალაქეთა კრებები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქალაქებში და სასოფლო ყრილობები.

საზოგადოებრივი აზრის, სხვადასხვა ჯგუფის მოსახლეობის მოთხოვნილებების გამოვლენაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ პრესა, რადიო, ტელევიზია, დეპუტატების მიერ ამომჩეველთა სისტემატური მიღება, მოქალაქეთა წერილებისა და განცხადებების გარჩევა. მტკიცედ მკვიდრდება პრაქტიკაში კანონპროექტებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვა.

ამავე დროს სოციალისტური დემოკრატიზმის ყველა ამ ფორმის განვითარება, სახალხო თვითმმართველობის პრინციპების განხორციელება სულაც არ არის სტიქიური პროცესი. ისინი უნდა განმტკიცდეს ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და სხვა ღონისძიებების სისტემით. საჭიროა მტკიცე მუშაობა მშრომელთა ინიციატივის, პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის, ბრძოლა ყოველგვარი ბიუროკრატიული დამახინჯების, საჯაროობის უგულებელყოფის ფაქტების, სოციალისტური კანონიერების დარღვევების წინააღმდეგ. თვითმმართველობის საწყისების დანერგვას ხელს უშლის უწყებრიობა, დაუსაბუთებელი ცდები ცენტრალიზებული გადაწყვეტა, რომლებიც ბევრად უკეთესია ადგილზე გადაწყდეს. არანაკლებ საშიშია კუთხურობაც.

ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის საწყისების დანერგვა დემოკრატიული ცენტრალიზმის განვითარების განუყოფელი ორგანული ნაწილია. იგი ამდიდრებს და ამტკიცებს მის სოციალისტურ ბუნებას, სულ ახალ-ახალ წინამძღვრებს უქმნის თითოეული მოქალაქის მიერ თავისი კონსტიტუციური უფლებამოვალეობების უფრო სრულ რეალიზაციას.

* * *

ხალხის თვითმმართველობის საწყისების დამკვიდრების უცილობელ და ქმედითს ფორმას ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასობრივი მოძრაობები და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები. ისინი ქვეყნის მართვაში მილიონობით ადამიანს ყოველდღიური მონაწილეობის გამოხატულებად იქცნენ.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ვნებს მრავალრიცხოვანი საშტატო აპარატი. მათი ცხოვრება მშრომელთა თვითმოქმედებას ემყარება. იგი მიმდინარეობს უწინარეს ყოვლისა, პირველად ორგანიზაციებში — ძირეულ რგოლებში, სადაც უშუალოდ წყდება ყველაზე მრავალფეროვანი საკითხები. პარტიას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია, რომ თითოეულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად სრულად და ეფექტიანად გამოიყენოს მისთვის დამახასიათებელი ფუნქციები, გამოხატოს და განახორციელოს შშრომელთა ინტერესები, რომლებსაც ეერთიანებენ, გაძლიეროს საბჭოთა ადამიანების მოქალაქეობრივი ინიციატივა და პასუხისმგებლობა. რეზერვები კი აქ ძალზე დიდია.

სკკპ XXVII ყრილობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას ეს ნაკლოვანებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ორგანიზაციების თვითმმართველობითს ბუნებას. მან აღნიშნა, რომ პარტიას მიზანშეწონილად მიაჩნია განახორციელოს შემდგომი ღონისძიებანი, რათა გაზარდოს პროფკავშირებისა და კომკავშირის, შემოქმედებითი კავშირებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების როლი ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის სისტემაში. კერძოდ, დასახულია, გაფართოვდეს საკითხთა წრე, რომელთა გადაწყვეტაც სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ მხოლოდ შესაბამისი პროფკავშირული, კომკავშირული, ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობით ან მათი წინასწარი თანხმობით, რითაც ამ ორგანიზაციებს მიანიჭებენ უფლებას მთელ რიგ შემთხვევებში შეაჩერონ მმართველობითი გადაწყვეტილებების განხორციელება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ექნება ყრილობის მოწონებული ისეთი წინადადებების რეალიზაციას, როგორიც არის ომისა და შრომის ვეტერანთა სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა, აგრეთვე შრომითის კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქალთა საბჭოების აღორძინება.

ამრიგად, აშკარაა, რომ პარტია ნიადაგ ეესწრაფვის ხალხის თვითმმართველობის ახალი, კიდევ უფრო ქმედითი ფორმების განვითარებას არა მარტო სახელმწიფოს, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფარგლებშიც. ეს ფორმები მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული. ბოლო ათწლეულების პრაქტიკამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ უსაფუძვლოა ისეთი მექანიკური მიდგომა, რომელიც კომუნიზმის წინსვლას უკავშირებს უწინარესად სახელმწიფო ინსტიტუტების განდევნას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მათი ფუნქციის გადაცემის გზით. მთავარი აქ ის კი არ არის, რომ ხელახლა განაწილდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფუნქციები, არამედ ის, რომ თითოეულმა სახელმწიფო ორგანომ და თითოეულმა სახელმწიფო ორგანიზაციამ, უწინარეს ყოვლისა, გაამდიდროს მათი უკვე არსებული ფუნქციების რეალური შინაარსი და მაქსიმალურად სრულად განახორციელოს ისინი. სწორედ ამას აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას სკკპ XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია და შეცვლილი წესდება.

* * *

ამრიგად, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა იმ სახით, რა სახითაც ჩამოყალიბდა იგი ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე ეტაპზე, ხორციელდება საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის მეშვეობით და გვევლინება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ ფორმებად. ჩვენს წინაშეა საზოგადოებრივი პროგრესის შინაარსით უაღრესად მდიდარი და ფორმით მრავალფეროვანი მოვლენა. მისი არსი ის არის, რომ უზრუნველყოს მშრომელთა სულ უფრო მეტი მასის რეალური, პრაქტიკული მონაწილეობა მართვაში — სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, განხილვაში, მიღებასა და განხორციელებაში.

ამიტომ, როგორც აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, ვერ დავეთანხმებით თვითმმართველობის ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულ გამარტივებულ განმარტებას, როცა ერთ შემთხვევაში იგი დაკავშირებულია სოციალისტური საზოგადოების მხოლოდ ცალკეული საწარმოო ან ტერიტორიული უჯრედების საქმიანობასთან, მეორეში უპირისპირდება სახელმწიფო მმართველობას. მესამეში გადაიდება კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზე გადასვლამდე.

თვითმმართველობა არა მარტო ხვალინდელი, არამედ დღევანდელი საქმეცაა. საჭიროა თითოეული მოზრდილი მოქალაქის აქტიურობის ახალი თვისებრივი დონე, ვინაიდან თითოეულის აქტიურობისაგან იქმნება ყველას ნამდვილი აქტიურობა. სწორედ ეს არის უწინარესად ახი ლოზუნგისა „მასების ცოცხალი შემოქმედება დაჩქარების გადამწყვეტი ძალაა“.

ამ ხალხური შემოქმედების მთავარი ორგანიზატორი და წამყვანი ძალაა ჩვენი პარტია. იგი თვით არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვითმმართვადი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა. „ეს იმას ნიშნავს, — აღნიშნა ვ. ი. ლენინმა, — რომ პარტიის ყველა საქმეს, უშუალოდ თუ წარმომადგენლების საშუალებით, უძღვება პარტიის ყველა წევრი თანასწორი უფლებით და ყოველგვარი გამონაკლისის დაუშვებლად. პარტია, რომელიც ავითარებს შინაპარტიულ დემოკრატიას, ზრდის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტების პასუხისმგებლობასა და აქტიურობას, უზრუნველყოფს მათდამი ხელმძღვანელობას, სწორ გეზს აძლევს ქვეყნის მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას, აფართოებს და აღრმავებს ხალხის სოციალისტურ თვითმმართველობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ზუსტად განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის განვითარების ახლო და შორეულ მიჯნებს. სრულყოფს რა ხალხის სოციალისტურ თვითმმართველობას, იგი მზრუნველად უვლის საზოგადოების მომავალი კომუნისტური ორგანიზაციის ყლორტებს, რომლებიც ამ ნიადაგზე აღმოცენდება. კომუნიზმი, რომლისკენაც მივდივართ, განასახიერებს სოციალისტური თვითმმართველობის სისტემის სოციალისტური დემოკრატიის გადაქცევას საზოგადოების ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად — კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად. იგი გახდება მარქსის, ენგელსის, ლენინის, ყველა ქვეყნის შშრომელთა იმ სანუკვარი იდეების ხორცშესხმა რომ შეიქმნას ისეთი სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება, რომლის დროსაც საწარმოო ძალების მუდმივი განვითარების ბაზაზე იქმნება საზოგადოებისა და პიროვნების გონივრული მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილების შესაძლებლობანი, საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობა კი ხდება ადამიანის, მშრომელის, შემოქმედის მუდმივი საარსებო მოთხოვნილება.

ა. ლუკიანოვი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

„პრავდა“, 25. IV. 86 წ.

რესპუბლიკის მტკიცე ნაბიჯი

სოხუმი

ფირმები „სერვისი“ და „დასავლეთი“, რომლებიც აფხაზეთში უსაგზაროდ ჩამოსულ მოაგარაკეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა, სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს. ეს დადასტურდა საპირველმაისო დემონსტრაციაზეც. სადღესასწაულო კოლონებში ფირმების თანამშრომლები ნაკლები როდი იყვნენ ვიდრე სოხუმის, გაგრის, ახალი ათონის, ბიჭვინთის საქვეყნოდ განთქმული სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ტურბაზებისა და პანსიონატების მშრომელები. სასიხარულოა საკურორტო სერვისის ამ სპეციალიზებული სამსახურების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კეფრებიც. შარშან მათ უმასპინძლეს 600 ათასამდე სტუმარს და სოხუმისა და გაგრის ბიუჯეტებში შეიტანეს 700 ათას მანეთზე მეტი, რომელიც სოციალურ განვითარებას მოახმარეს.

ახლანდელმა საპირველმაისო დღესასწაულმა აფხაზეთში ჩაიარა მუშათა კოლექტივების მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მიჯნების დემონსტრირების ნიშნით. ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა მხურვალედ დაუჭიერეს მხარი სკკპ ეკონომიკურ სტრატეგიას, XXVII ყრილობის მიერ დასახულ ქვეყნის სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების პროგრამას და მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი დიდნაყოფიერი შრომის წლად გამოაცხადეს. გადაწყვეტილი აქვთ, გეგმის გადამტებით გამოუშვან 1,5 მილიონი მანეთის სამრეწველო ნაწარმი, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა გაადიდონ 295 მილიონ მანეთამდე. ტრანსპორანტები, დემონსტრანტთა კოლონების თავზე რომ მოჩანდა, დამაჯერებელი ციფრების ენით მტკიცებულებდნენ, თუ როგორ ვითარდება სამგზის ორდენოსან შრომელ აფხაზეთში კაპიტალური მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მომსახურების სფერო, ვაჭრობა, კულტურა და კურორტები.

მრავალეროვანი ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის მთავარ — ლენინის სახელობის მოედანზე, სადაც საპირველმაისო ზეიმი მიმდინარეობს, გაისმის აფხაზეთის ხელსაწყოთმშენებელთა, მეფეხსაცმელეთა, გემთშემკეთებელთა, მენავსადგურეთა, რკინიგზელთა შრომითი პატაკები ოთხი თვის დავალებებისა და სამაისო სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულების შესახებ.

მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის მაღალი მიჯნების დალაშქვრის საიმედო მარგანკეთი იქმნება ამ დღეებში აფხაზეთის აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელთა გარჯით. ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და შემცირდება მისი თვითღირებულება. დასამუშავებელი ბაღ-ვენახებისა და პლანტაციების კომპლექსური მექანიზაციის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის ფართოდ დანერგვის მეოხებით შარშანდელზე გაცილებით მეტი დამზადდება სიმინდი, ბოსტნეული, ხილი, ტუნგი, საკვები და ეთერზეთოვანი კულტურები.

საპირველმაისო ზეიმში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

გათუმი

ტაატით მიცურავს ლენინის მოედანზე ტანკერის მოძრავი მაკეტი, რომლის ანძასაც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ემბლემა ამშვენებს. სანაოსნოს თბომავლები დღეს სერავენ ზღვებსა და ოკეანეებს, ასრულებენ მეგობრობისა და მშვიდობის რეისებს. აქტიურად მონაწილეობენ ისინი ინტერნაციონალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მომძღვე ქვეყნების საწარმოებისა და ნავსადგურების კოლექტივებთან.

— სანაოსნოს გემები აღჭურვილია უახლესი ელექტრორადიოსანავიგაციო აპარატურით, კავშირგაბმულობის საშუალებებთ, — თქვა სანაოსნოს უფროსმა, პარტიის აბრის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრმა, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა დ. ჭიღვარიამ. — დიდი ყურადღება ეთმობა არა მარტო ამ სატრანსპორტო საწარმოს განვითარებას, არამედ აგრეთვე ყოველი ეკიპაჟის ზრდას, თითოეული მეზღვაურის კეთილდღეობას. შემუშავებულია გადაზიდვის პროცესების ინტენსიფიკაციის 1986-1990 წლების კომპლექსური პროგრამა. ფლოტსა და ნავსადგურში დაინერგა შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები. 20 თბომავალზე მუშაობენ შრომიანელთა მეთოდით, კიდევ რვაზე — ათსაათიანი გრაფიკით ეკიპაჟის რეკომენდებული რაოდენობით. სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნამ შესაძლებელი გახადა უკვე მიმდინარე წლის ოთხ თვეში წარმატებით შეესრულებინათ გეგმა ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

ხალხმრავალი მოედანი წამით გაირინდა: დაფდაფების ხმაზე ჩაიარეს ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კურსანტებმა, მომავალმა შტურმანებმა, მექანიკოსებმა, კაპიტნებმა.

დემონსტრანტთა ტრანსპარანტებზე არის პატაკები იმ წარმატებათა შესახებ, ბათუმელებმა რომ მოიპოვეს სკკპ ისტორიული XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისას. ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის მიერ მიღებულმა დაჩქარების კურსმა მძლავრი იმპულსი მიანიჭა ქალაქის ეკონომიკის განვითარებას, ბათუმელებმა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღისათვის გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს თითქმის 4 მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქცია. მის 32 სახეობას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

დემონსტრაციის მონაწილეებს ტრიბუნიდან ესალმებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ცხინვალი

ოთხ კილომეტრიანმა რიკის ავტოსაგზაო გვირაბმა თითქმის ხუთასი კილომეტრით შეამცირა გზა ამიერკავკასიიდან რუსეთის ფედერაციამდე. ამას იუწყებოდნენ ტრანსპარანტები, რომლებითაც დგამოვიდნენ დემონსტრაციაზე თბილისგვირაბმშენის №13 საგვირაბო რაზმის კოლექტივის წარმომადგენლები.

— ხშირი ქვეცვენა, ღვარცოფი, გრიგალური ქარები, — თქვა რაზმის მთავარმა ინჟინერმა რუდოლფ ვართანოვმა, — ძლიერ ზვაფრხეზდნენ მუშაობაში. გარდა ამისა, ფხვიერი გრუნტის გამო იძულებული ვიყავით ყოველი გვლილი მეტრი დაგვებეტონებინა. მაგრამ შრომის ზუსტმა ორგანიზაციამ, მრავალეროვანი კოლექტივის მონდომებამ შესაძლებლობა მოგვცა წარმატებით დაგვეძლია სირთულენი და მოგვეახლოებინა გვირაბის ამოქმედების დღე.

ეს კი ნიშნავს, რომ უკვე მომავალ ზამთარს სახალხო-სამეურნეო ტვირთი „შეუფერხებლად გაივლის კავკასიონში, რომელიც აქამდე დაუძლეველ კედლად ეღობებოდა ავტომობილებს.

— ჩვენი კოლექტივის სადღესასწაულო განწყობილებას განშორების სევდაც შეერია, — თქვა შემდეგ რ. ვართანოვმა. — როკის გვირაბში უკვე მიმდინარეობს ურთულესი მოწყობილობის დამონტაჟება და ჩვენ ახალ ობიექტზე გადავდივართ: ეს არის კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზა, რომლის მშენებლობაც გათვალისწინებულია სკკპ XXVII ყრილობით. ასე რომ, იქ ჩვენ ძალზე გამოგვადგება ტრანსკავკასიის ავტომაგისტრალის მთავარი ობიექტის — როკის გვირაბის მშენებლობაზე შეძენილი გამოცდილება.

დღეს ავტონომიური ოლქი შეიძლება შევადაროთ უდიდეს სამშენებლო მოედანს. აქ აღიმართა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, რეკონსტრურებულია მოქმედი საწარმოები, ამასთანავე გაჩნდა საცხოვრებელი სახლები, სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატული თეატრის შენობა, ახალი კულტურის სახლები და კინოთეატრები, კლუბები, ბიბლიოთეკები და მრავალი სხვა ობიექტი.

წლევანდელი პირველი მაისი აღსავსეა შრომითი წარმატებებით, რომელთა საფუძველიც გახდა დაძაბული შრომა და შემოქმედება, ზრძოლა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უცილობელი განხორციელებისთვის. სამხრეთ ოსეთის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ოპტიმიზმით შეჰყურებენ მომავალს.

სადღესასწაულო ტრიბუნიდან დემონსტრანტთა კოლონებს მიესალმებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, ავტონომიური ოლქის სხვა ხელმძღვანელები.

ქუთაისი

„საბჭოეთის მშრომელებო! ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მეშვიდეთი მიაღწიეთ საზოგადოების ახალ თვისებრივ მდგომარეობას, კომუნისტური იდეალების გამარჯვებას!“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს საპირველმაისო მოწოდება გახდა ქვეყნის დარგის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოს — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივის მუშაობის საბრძოლო დევიზი.

მოქმედი წარმოების გვერდით წარმატებით გრძელდება სიმძლავრეთა მომზადება სექციური საყვინთი ელექტროძრავების სერიული გამოშვებისათვის. ეს ძრავები ბევრ ნავთობმომპოვებელ საწარმოს სჭირდება.

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი ვადამდე შეხვდა პირველ მაისს. სახელმწიფო კომისიამ მაღალი შეფასება მისცა აქაური უნიკალური ძრავების საცდელ ნიმუშებს. მათი გადიდებული სიმძლავრის მეოხებით ნავთობის მოპოვება იწარმოებს ორ კილომეტრ სიღრმეზე. საწარმოს ახალი პროდუქცია, რომელიც უკიდურესი ჩრდილოეთის სარეწაოებისათვის არის განკუთვნილი, გამოირჩევა მეტი გამძლეობითაც: ძრავები წელიწადნახევარზე მეტ ხანს უძლებენ განუწყვეტელ მუშაობას ისე, რომ არ სჭირდებათ კაპიტალური რემონტი.

უკვე წელს ციმბირის ნავთობმომპოვებლები მიიღებენ 530 ასეთ ძრავს. ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ, რომელიც უახლოეს წლებში უნდა დამთავრდეს, მისი სიმძლავრე წელიწადში 21 ათას ძრავს მიაღწევს.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა გაჩაღდა ქალაქის სხვა საწარმოებშიც. მაისობის დღესასწაულისათვის ქალაქის მრეწველობამ გეგმის დამატებით გამოუშვა 7 მილიონი მანეთის პროდუქცია. 104 პროცენტით არის შესრულებული სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებანი. თვალსაჩინო წარმატებათა პატაკით მოვიდნენ დემონსტრაციაზე ავტომშენებლები, ქიმიკოსები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

ქუთაისელი ქალიშვილები და ჭაბუკები თვალის ჩინჩით უფრთხილდებიან ქალაქის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, თავიანთი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის აღმშენებლობითს შრომაში — ისევე, როგორც წინა წლებში, ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ შრომით სემესტრში.

რუსთავი

— სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ინტენსიფიკაციის მაგისტრალური გზით ქვეყნის მკვეთრმა შემობრუნებამ, — თქვა წარჩინებულმა მეტალურგმა სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა თამაზ სპანდერაშვილმა, — ფრთა შეასხა მშრომელთა მასებს, დაგვისახა ნათელი და კონკრეტული მიზნები. ჩვენი ქარხნის მშრომელებმა, ქალაქის სხვა საწარმო-ორგანიზაციების მუშაკებმა ამ ბოლო დროს საგრძნობლად გამოაცოცხლეს საქმე, ისინი მეტი ორგანიზებულობითა და პასუხისმგებლობით გამოირჩევიან. პირველი მაისის წინ ქარხანაში სასიხარულო ცნობა მოვიდა: საწარმოს ზედიზედ მეხუთედ მიენიჭა სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის წოდება, დაჯილდოვდა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

დემონსტრაციაზე გამოვიდნენ ლენინის ორდენოსანი ტრესტის „ამიერკავკასია მეტალურგშენის“, ცემენტის ქარხნის მშრომელებიც, რომლებმაც გაიმარჯვეს სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით. დაადგნენ რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, მოწინავე ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვის კურსს, ისინი აჩქარებენ წარმოების ტემპსა და მოცულობას, აუმჯობესებენ შრომის ხარისხს.

სადღესასწაულო კოლონებში არიან რუსთაველი ამწეშენებლები. კოლექტივმა უკვე ამ შემოდგომაზე უნდა გამოუშვას ახალი კოშკურა ამწის საცდელ-სამრეწველო ნიმუში. მაგრამ ქარხნის მშრომელებმა მიზნად დაისახეს დარჩენილ დროში დახვეწონ მისი კონსტრუქცია, რათა იგი არ ჩამორჩებოდეს საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს.

შრომის, ამჟერად საინჟინრო შრომის ინტენსიფიკაციის ემსახურება საქართველოს მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში დანერგილი ავტომატიზებული დაპროექტების სისტემაც, რომელიც პირველია რესპუბლიკაში. ეს მხოლოდ ერთია იმ მრავალ ნიშანთაგან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კარდინალური პრობლემების გადაჭრისადმი ახალ მიდგომას რომ ახასიათებს. მათ შორის არის „დონ-1500“ კომბაინისათვის განკუთვნილი სწორკუთხა მილების წარმოებაც.

ქალაქის მშრომელები მიღწეულს არ სჯერდებიან, ნათლად ხედავენ ნაკლოვანებებს, რომლებიც მათ ხელს უშლის წინსვლაში. ერთი რამ ცხადია: რუსთავის ეკონომიკა მტკიცედ სძლევს წარსულის ნეგატიურ ტენდენციებს, ენერგიულად და თანამიმდევრულად აღმოფხვრის ცალკეულ დარგებში შემორჩენილ ჩამორჩენას.

განსაკუთრებით ინტენსიური ტემპით ვითარდება სოციალური სფერო. გასული და მიმდინარე წლის ნიშანია ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი, სავაჭრო ცენტრი და თვითმმსახურების უნივერმაღი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები. მათგან უმნიშვნელოვანესი — ახალი წყალსატარი სტაბილურად და დიდი მოცულობით უზრუნველყოფს რუსთაველებს სასმელი წყლით.

...სამი მოკლე, მრავლისგამომხატველი და ყველასათვის ესოდენ ძვირფასი სიტყვა: მშვიდობა, შრომა, მაისი, — ჩვენ შეგნებაში აღიქმის როგორც ერთი მთლიანი. და დღეს, როდესაც პლანეტის ყველა მშრომელ ადამიანთან ერთად მეასე მაისობას ვდღესასწაულობთ, ეს სიტყვები კვლავინდებურად განასახიერებენ ერთიანობის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის დასამკვიდრებლად საერთო ბრძოლის სიმბოლოს. (საქინფორმი).



სურათებზე: დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონები სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში.
ი. ბოხოლნელიძის, ნ. ანასტასიევის და ლ. გუსროვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უცხოეთში

ფაქტები • მოვლენები

1 მაისი ● საკრძალი იუწყება

● აშშ

ჩიკაგოს მერის პროკლამაცია

ჩიკაგო. ჩიკაგოს მერმა ჰაროლდ ვაშინგტონმა ხელი მოაწერა პროკლამაციას, რომელშიც მაისი „ჩიკაგოში პროფკავშირების ისტორიის თვედ“ არის გამოცხადებული.

● ავღანეთ-ირანი

განუცხადეს პროტესტი

ქაბული. ბახთარის საინფორმაციო ცნობით, ავღანეთში ირანის ისლამური რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული გამოიძახეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მას განუცხადეს, რომ 21 აპრილს ირანის ტელევიზიამ მოაწყო გადაცემა, რომელშიც მონაწილეობდა ავღანური კონტრრევოლუციის ორი წარმომადგენელი. ისინი უხეშად დაესხნენ თავს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკებას უენევაში, აგრეთვე ცდილობდნენ ყალბად გაუშუქებინათ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობა.

ირანის მთავრობის მიერ ავღანელ კონტრრევოლუციონერთა ბანდების საქმიანობის წახალისება, ანტიავღანური პროპაგანდისტული კამპანიებისა და ავღანეთის საწინააღმდეგო აგრესიის ხელშეწყობა, ხაზგასმულია განცხადებაში, ეწინააღმდეგება ავღანეთის მთავრობის კონსტრუქციულ მეცადინეობას, რომლის მიზანია მშვიდობიანი თანაარსებობისა და კეთილმეზობლობის, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დაცვა, ამგვარი მოქმედება მოწმობს ირანის ხელისუფალთა უპასუხისმგებლო და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი არამეგობრულ პოლიტიკას.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა გულისწყრომით გმობს ამ მტრულ მოქმედებას და მის დაუყოვნებელ შეწყვეტას მოითხოვს.

● მაროკო

გაიხსნა კონფერენცია

ფესი (მაროკო). აქ გაიხსნა არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია. მისი მონაწილეები განიხილავენ ამერიკის აგრესიასთან დაკავშირებით ლიბიის თხოვნით არაბული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების საგანგებო თათბირის მოწვევის საკითხს.



სურათზე: მონუმენტი, რომელიც დადგმულია 1886 წელს ჩიკაგოში საპირველმაისო დემონსტრაციის გმირთა საფლავზე.
საკრძალის ფოტო.

● პაკისტანი

მოითხოვენ მთავრობის გადადგომას

ისლამაბადი. პაკისტანის წამყვანი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დემოკრატიის აღდგენისათვის მებრძოლი მოძრაობაში შედიან, მოითხოვენ ქვეყნის მთავრობის გადადგომას.

ეს განაცხადა უარაჩში გამართულ პრესკონფერენციაზე პაკისტანის ეროვნული პარტიის თავმჯდომარემ გ. ბ. ბიზენჯომ. მან ხაზი გაუსვა, რომ ახლანდელი მთავრობა ხელისუფლების სათავეში უკანონოდ და კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ დგას.

● ინდონეზია

ვაშინგტონის მზაკვრული მიზნები

ვაშინგტონი, პრეზიდენტი რეიგანი, რომელიც ინდონეზიაში, ბალის კუნძულზე იმყოფება, დღეს აქ ხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის (ასეანის) წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს. ამ ასოციაციაში შედიან ინდონეზია, ფილიპინები, ტაილანდი, მალაიზია, სინგაპური, ბრუნეი.

ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოფიციალური ვაშინგტონი, რომელიც უკვე მრავალი წელია ცდილობს გადააქციოს ასოციაცია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებად. თავს ახვევს რა ასეანის წევრებს თავიანთ მეზობლებთან კონფრონტაციის კურსს, ამერიკის ადმინისტრაცია ლამობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი დაძაბულობის პირველ მიზეზად წარმოსახოს კამპუჩიაში ვიეტნამელი მოხალისეების ყოფნა, რომლებიც კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკას უშიშროების უზრუნველყოფაში ეხმარებიან. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, რომ ასეანის წევრი ქვეყნების მინისტრებთან შეხვედრის დროს რ. რეიგანი ხაზს გაუსვამს „შეშფოთებას ვიეტნამელი მოხალისეების კამპუჩიაში ყოფნის გამო!“.

შემთხვევა

ხანძარი ლოს-ანჟელესის ბიბლიოთეკაში

სან-ფრანცისკო. მილიონზე მეტი უძვირფასესი წიგნი, უნიკალური ისტორიული ფოტოსურათი და მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტი დაიწვა ან სერიოზულად დაზიანდა ლოს-ანჟელესის მთავარ ბიბლიოთეკაში მომხდარი ხანძრის შედეგად.

წინასწარი შეფასებით, ცეცხლმა შთანთქა ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი წიგნის საგანძურის ნახევარი. ბიბლიოგრაფთა განსაკუთრებულ განგაშს იწვევს უილიამ შექსპირის უიშვიათესი გამოცემების ბედი, რომლებიც ლოს-ანჟელესის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. დადგენილია აგრეთვე, რომ ხანძარმა მთლიანად მოსპო ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროს საპატეიტო ბიუროს დოკუმენტების სრული კრებულის ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც 70 მილიონი დოლარი ღირდა. ხანძართან ბრძოლა ექვს საათზე მეტ ხანს ვრძელდებოდა, 30 მეხანძრე საავადმყოფოში მოათავსეს მიღებული ჭრილობებისა და დამწვრობის გამო.

ვ. ს. ძაბახიძე

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 82 წლისა გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, 1925 წლიდან სკკპ-ის წევრი, გადამდგარი გენერალ-მაიორი ვალერიან სერგის ძე ძაბახიძე.

ვ. ს. ძაბახიძე 1903 წელს დაიბადა ვანის რაიონის სოფელ ბზვანში, გლეხის ოჯახში.

1922 წლიდან იყო საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც გაიარა გზა კურსანტიდან გენერალ-მაიორამდე და სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობა ეკავა.

1938 წლის აგვისტოში იგი დაინიშნა საქართველოს სსრ სამხედრო კომისრად.

სამამულო ომის დაწყების შემდეგ ვ. ს. ძაბახიძემ დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწია ადამიანთა და მატერიალური რესურსების მობილიზაციისათვის მოქმედ არმიაში გასაგზავნი ნაწილებისა და შენაერთების დასაკომპლექტებლად. 1941 წლის სექტემბრიდან მან დაიკავა მსროლელი დივიზიის მეთაურის თანამდებობა. შემდეგ უშუალოდ მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში ყირიმისა და ამიერკავკასიის ფრონტებზე, და ზღვისპირეთის არმიის შემადგენლობაში, სადაც 406-ე და 414-ე მსროლელ დივიზიებს სარდლობდა.

ომისშემდგომ პერიოდში ვ. ს. ძაბახიძე მსახურობდა სხვადასხვა სამხედრო ოლქის ჯარების შემადგენლობაში, ეკავა სამმართველოს უფროსის — ჯარების ჯგუფის შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობა.

1956 წლიდან თადარიგში ყოფნისას იგი წლების მანძილზე უძღვებოდა აფხაზეთის ასსრ საზოგადოება „ცოდნის“ სამხედრო სექციას, იყო საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პარტიული კომისიის წევრი, ეხმარებოდა ომისშემდგომ აღდგენით სამუშაოებში, ეწეოდა დიდ მუშაობას ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის მისი მომზადების მიზნით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დაფასებულ ვ. ს. ძაბახიძის ღვაწლი სამშობლოს წინაშე და დაჯილდოვეს იგი ლენინის ორდენით, ორი წითელი დროშის ორდენით, II ხარისხის სუვოროვის, I ხარისხის სამამულო ომის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით და მრავალი მედლით. იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ვ. ს. ძაბახიძის, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, შესანიშნავი ამხანაგის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველა იმათგანის გულში, ვინც მას იცნობდა.

ჯ. ი. პაპიაშვილი, ჯ. ბ. ბილაშვილი, ბ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. ვ. ნიკოლაკი, ო. ე. ჩერქეზია, ბ. ვ. ადლეიბა, ვ. ი. ალავიძე, ვ. ბ. ლორთქიფანიძე, ნ. რ. საჯაია, ბ. ბ. ბუმბარიძე, ვ. ლ. გულევიჩი, ა. ნ. კლეიმენოვი, ნ. ო. ანდრიაძე, ლ. ლ. შარაშენიძე, კ. ე. კეთილაძე, ბ. ვ. ნანეიშვილი, ლ. ი. აბაშიძე, ნ. ტ. თამბართქილაძე.

ეძღვნება ბეჭდვითი სიტყვის დღეს

საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის თაოსნობით 3 მაისს ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე მოეწყობა ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

ადგილებზე უკვე შემუშავებული აქვთ ღონისძიებათა სპეციალური გეგმები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის სპორტული გაზეთი „ლელო“, რაიონული და ბაღეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ კიხოტი (მე-11 აბონ. მე-7 წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კონცერტი ორი ვიოლონჩელისათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბურჯი გაფრინდები, ნურც მოფრინდები; ფილარმონია — ანსამბლი „75“ (დიდ საკონცერტო დარბაზში).

3 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — შოპენიანა, კარმენ სუიტა (დღისით, მე-2 აბონ. მე-10 წარმ.), დაისი (საღამოს, მე-10 აბონ. I წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ლურჯი ურჩხული (დღისით და საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი; თბილისის სახლმწიფო ფილარმონია — ტოტების ოჯახი (მე-8 აბონ. მე-5 წარმ.); მინიატიურების სახელმწიფო სიცრუის სიბრძნე; ფილარმონია — ანსამბლი „75“ (დიდ საკონცერტო დარბაზში).

ეპიცენტრი — ზღვაში

ბაქო, 30 აპრილი. (საქდესის კორ.). დღეს მოსკოვის დროით 2 საათსა და 08 წუთზე აზერბაიჯანში მოხდა მიწისძვრა. მისი ძალა ეპიცენტრში, რომელიც კასპიის ზღვაში ქალაქ ლენქორანის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორმოცდაათ კილომეტრზე იყო, 4-5 ბალს შეადგენდა. ლენქორანში მიწისძვრა ოთხ ბალამდე იგრძნობოდა, მეზობელ მასალისა და ლერიქის რაიონებში — სამ ბალამდე. მიწისძვრის მსხვერპლი და ნგრევა არ გამოუწვევია.

მაისიც გვეწვია

დადგა გაზაფხულის ბოლო თვე. კლიმატური მონაცემებით, მაისში ჰაერის საშუალო ტემპერატურა საქართველოს ბარში 14-18 გრადუსის ფარგლებში, მთიან რაიონებში 11-დან 16-მდე, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 6-დან 11-გრადუსამდე მერყეობს ხოლმე, რაც 4-6 გრადუსით მაღალია აპრილთან შედარებით. ცალკეულ წლებში ეს მაჩვენებლები მკვეთრად განსხვავდება საშუალო მრავალწლიური ნორმისაგან: ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი ბარში 31-36 გრადუსს, აჭარაში ზოგან 38 გრადუსაც აღწევს, აბსოლუტური მინიმუმი კი დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 4-დან 0-გრადუსამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 1 გრადუსი სითბოდან 4 გრადუს ყინვამდეც კლებულობს.

მაისი ჰაერის არამდგრადობით — ღრუბლიანობით, თავსხმა წვიმებით, ელჭექითა და სეტყვითაც ხასიათდება. ამიტომაც შეინიშნება ამ თვეში საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ნალექების ერთობ დიდი რაოდენობა (საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში იგი 60-დან 130 მმ-მდე მერყეობს ხოლმე). მაგალითად, თბილისში ნალექების რაოდენობის მაქსიმუმი სწორედ მაისზე მოდის.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზით, მაისში ჰაერის საშუალო ტემპერატურა საქართველოს ბარში 16-19, მთიან რაიონებში 12-17, მაღალმთიან რაიონებში კი 8-12 გრადუსია მოსალოდნელი, რაც ტერიტორიის უმეტეს ნაწილში 1 გრადუსით, აღმოსავლეთ საქართველოში კი ზოგან 2 გრადუსითაც მაღალია მრავალწლიურ ნორმაზე.

პირველ დეკადაში მოსალოდნელია ტემპერატურის დაკლება: ღამით ბარში 6-11, მთიან რაიონებში 2-7, მაღალმთიან რაიონებში 0 მინუს 5 გრადუსამდე. თვის მეორე ნახევარში კი პირიქით, ტემპერატურის მატებას უნდა ველოდეთ: დღისით დასავლეთ საქართველოს ბარში 26-31, ქართლის ბარსა და კახეთში, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში 23-28, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ მთიან და მაღალმთიან რაიონებში უმეტესად 17-დან 22 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოს ჩრდილო და აღმოსავლეთ საქართველოს ასევე ჩრდილო მთიან რაიონებში საშუალო მრავალწლიურ ნორმაზე ნაკლები, სხვაგან კი ნორმასთან ახლოს ან ნორმაზე მეტია მოსალოდნელი.

ნ. ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის უფროსი.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ეწვიეთ კოოპერაციულ ბაზრობებს

სამომხმარებელო კოოპერაციის მაღაზიები 3 და 4 მაისს, 9 და 10 მაისს და ყოველ შემდგომ შაბათ-კვირას წყალტუბოს ზონის სოფელ ვეტრარში და მცხეთის რაიონის სოფლების ციხისძირისა და მუხრანის გზაგასაყართან — ქსანზე მართავენ ტრადიციულ კოოპერაციულ ბაზრობებს.

ბაზრობაზე შეგიძლიათ შეიძინოთ საბჭოური და იმპორტული წარმოების მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, საოჯახო, სასპორტო, სამრეწველო და სამეურნეო საქონელი.

მობრძანდით, გელოდთ!

ცეკავშირის გამგეობა, „საქკოოპრეკლამა“.

გ